საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი, 24 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ჯდება 15 მანეთი. განცხადებას ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი. მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 268 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 268

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული.
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18. ტელ. 11—79

ღრმად დაწუხრებული ბიცოლა აგრაფინა ლომთათიძისა შვილებით და ძმები ვასო და გრიშა ლომთათიძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მე II კლასის მოწაფის

ილია (ტიტო) თეოფანეს ძე ლომთათიძის

უდროოთ გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება სოფ. მეწიეთში ხუთშაბათს 25 ნოემბერს. (3772—1—1)

ა. წ. ნოემბრის 20 ახ. სტ. გარდახდილ იქნა წლის წირვა და პანაშვიდი ქვიანის წმინდის გიორგის ეკლესიაზე გარდაცვალებულის

პლატონ ლუკას ძე დოლიძის

სულის მოსახსენებლად. (ფ. 1—1)

განუსაზღვრელი მწუხარებით გულმოკლული მეუღლე ლიზა დიმიტრის ასული პატარა შვილებით გივი და ქრისტინა, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს 24 ნოემბერს 1 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი სახელმწიფო კანტროლის რევიზორის

გერონტი ბესარიონის ძე ცინცაძის

სულის მოსახსენებლად (2773—1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: სტეფანე, ამბროსი, ვანო, ანდრო, თამარა, ეპრაქსი, ილია და ნატაშა ხუნდაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და საყვარელი პირველის მეუღლის და დანარჩენის დედის

აგრაფინე ხუნდაძის

გარდაცვალებას. (3774—1—1)

გულ-მოკლული და ღრმა მწუხარებაში მყოფი ლეიტენანტი ანდრია სტეფანეს ძე ხუნდაძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მისი საყვარელი დედის

აგრაფინე ხუნდაძის

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. (3774—1—1)

იბეჭდება და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა
კარლ კაუცკის ახალი წიგნი
სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები — საქართველოში
თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან
გამოცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)
ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.
ხუთშაბათს, ნოემბრის 25-ს
ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის საღამო
1. დარისპანის გასაჭირი 2. ირინეს ბედნიერება
რეჟისორი აკაკი ფაღავა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შაბათს, ნოემბრის 27-ს
პირველად
ზღვასთან
ინგელისა.

შაბათს, დეკემბრის 4-ს
პირველად ქართული ორიგინალური ტრაგედია
ბერდო-ზმანია
ახალი დეკორაციებით, ტანისამოსით
ბილეთები კასაში.
(ნ. 1—1)

კონსტიტუციის განხილვა

დამფუძნებელი კრება დღეს იწყებს იმ ისტორიულ საქმეს, რომელიც მისი მოწვევის მთავარს დანიშნულებას შეადგენს—კონსტიტუციის პროექტის განხილვას. დამფუძნებელი კრება აღჭურვილია ჩვეულებრივი საკანონმდებლო დაწესებულების ფუნქციებითაც, იგი ეწევა ჩვეულებრივს მუშაობას, ისევე, როგორც პარლამენტი, ანგარიშს უწევს ქვეყნის დღიურს ჭირ-ვარამს, მის წვრილმან საჭიროებებს. მაგრამ გარდა ამ ფუნქციებისა მას აქვს თავისი პირდაპირი, განსაკუთრებული დანიშნულება, რომელსაც მოკლებულია ჩვეულებრივი საკანონმდებლო დაწესებულება და რომელიც დამფუძნებელ კრებას ჩვეულებრივ პარლამენტზე ბევრათ უფრო მნიშვნელოვანად ხდის.

ეს დანიშნულებაა, შედგენა კონსტიტუციისა, იმ მთავარ პრინციპებისა, რომელიც საფუძველში უნდა დაედოს სახელმწიფოს წესწყობილებას. მიუხედავათ იმისა, რომ თავის წელიწად-ნახევრის არსებობაში ჩვენმა დამფუძნებელმა კრებამ გამოსცა მრავალი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის კანონი, ის საქმიანობა, რომელსაც დღევანდლამდის ეწეოდა იგი, არ გამოდიოდა ჩვეულებრივი საკანონმდებლო საქმიანობის ფარგლებიდან.

მართალია, ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არ გვქონია ის, რასაც „წვრილი კონსტიტუცია" ეწოდება, მაგრამ დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო მუშაობას მაინც ნათლად ატყვია გავლენა იმ საკონსტიტუციო მუშაობისა, რომელიც სწარმოებდა კომისიებში, და იმ კონსტიტუციური პრინციპებისა, რომელნიც თავის თავად იგულისხმებიან და უდავოთ არიან მიჩნეულნი კანონმდებელთა გონებაში. მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა, ე. ი. ისეთი სახელმწიფო, რომელშიაც ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ხალხს, ხალხის უმრავლესობას. აიღეთ რომელიც გინდათ კანონი, დამფუძნებელი კრების მიერ გამოცემული, და დაინახავთ, რომ ყოველს მათგანს ამ მთავარი პრინციპის გავლენა ატყვია. კონსტიტუციის მიღება, სახელმწიფოს ჩამოყალიბება გამოკვეთილ და ნათელ ფორმებში, უფრო პირდაპირ და გარკვეულ გზაზე წარუყვანს კანონმდებლობას: კონსტიტუციის მიღებით იმას, რაც თავის თავად იგულისხმება და შეუგნებლად ახდენს გავლენას კანონმდებელთა მუშაობაზე, შეგნებულად სახელმძღვანელო ჭეშმარიტების მნიშვნელობა მიეცემა. გარდა კანონმდებელთა მუშაობისა კონსტიტუციის მიღებამ არ შეიძლება დიდი და ცხოველმყოფელი გავლენა არ მოახდინოს თვით ხალხზე, თვით რესპუბლიკის მოსახლეობაზე: ხალხს თავის თვალში ამაღლებს და იმედიანობას უღვიძებს შეგნება, რომ მას აქვს სახელმწიფო წესიერად მოწყობილი, გარკვეულ პრინციპებზე დაფუძნებული, იგი მეტის ნდობით ისჭვალება სახელმწიფოსადმი, მას მოქალაქეობრივი გრძნობა, საზოგადოებრივობის და [illegible] შეგნება უძლიერდება.

გარდა ამ შინაური გავლენისა კონსტიტუციის შემუშავებას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი რესპუბლიკის გარეშე საქმეებისათვისაც. პირველი კითხვა, რომლითაც ევროპაში მიმართავენ ჩვენს წარმომადგენლებს, მდგომარეობს იმაში, გვაქვს, თუ არა ჩვენ კონსტიტუცია და რა საფუძვლები აქვს მას სათავეში დადებული. კონსტიტუციის შემუშავება ყველას თვალში იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ერს აქვს სახელმწიფოს აშენების და მისი გაძღოლის უნარი. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი წარმომადგენლები კონსტიტუციის ტექსტით ხელში უფრო მეტის სითამამით და თავის უფლებათა მეტის შეგნებით წარსდგებიან ევროპის წინაშე და ევროპაც უფრო მეტს ანგარიშს გაუწევს ჩვენს რესპუბლიკას, როდესაც დაინახავს, რომ იგი დაფუძნებულია გარკვეულ და მტკიცე უფლებრივ პრინციპებზე.

ოპოზიციის მხრით ხშირად გაისმის საყვედური, რომ კონსტიტუციის შემუშავება მეტის მეტათ გაგრძელდა. ჩვენც გვგონია, რომ შესაძლებელი იყო კონსტიტუციის ტექსტი სულ მოკლე დროში შემუშავებულიყო. მაგრამ იმაში კი არ ვართ დარწმუნებული, რომ ეს ნაჩქარევი მუშაობა მიზან-შეწონილი იქნებოდა. ჩვენ ვცხოვრობთ იმისთანა დროში, როდესაც ხდება უდიდესი „გადაფასება ყველა ღირებულებათა," როგორც პოლიტიკაში ისე სოციალურ კითხვებში. ის, რაც საუკუნოებას განმავლობაში, უდავო ჭეშმარიტებათ ითვლებოდა, დღეს ირყევა და საეჭვო ხდება. პარლამენტარიზმი, ცენტრალიზმი, ფედერალიზმი, კოლონიების და მეტროპოლიების ურთიერთობა, საფინანსო და გადასახადების სისტემა—ყველა ამ საკითხებში ძველი შეხედულება ირყევა და ახალი ძიებაა შეტანილი. ეგევე ითქმის სოციალურ საკითხების შესახებაც: სამუშაო დღის მაქსიმუმი, ხელფასის მინიმუმი, ნაჭრობლივი მუშაობა. მიწის კანონმდებლობა, საზოგადოებრივი წარმოების ნაციონალიზაციის, მუნიციპალიზაციის, საკითხები—ყველაფერ ამას ახალი შუქი აქვს მინათებული და ყველა ეს გადასინჯვის გზაზეა დამდგარი; ყველა ამ საკითხებს დიდი მოფიქრება და სიდინჯე სჭირია. ხშირად მიგვითითებენ ხოლმე იმ გარემოებაზე, რომ გერმანიამ კონსტიტუციის შემუშავებას სულ რამდენიმე თვე მოანდომა. ეს მართალია, მაგრამ მართალია ისიც, რომ გერმანიის კონსტიტუციას ატყვია წარმავალი დღიური ჭირ-ვარამის გავლენა და ბევრს რამეს ამ კონსტიტუციაში გადასინჯვა დასჭირდება. და სწორეთ ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ ჩვენ უნდა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ ჩვენს კონსტიტუციას ასევე მალე არ დასჭირდეს შეცვლა და გადასინჯვა.

„შიშით და კრძალვით" შეუდგება დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის პროექტის განხილვას. ამ მუშაობის დროს იგი განთავისუფლებული უნდა იყოს წარმავალ გარემოებათა გავლენისაგან, რადგან ისეთი საშვილიშვილო საქმე, როგორიც კონსტიტუციის შემუშავებაა, მოითხოვს კანონმდებელთა მხრით ყოველ-დღიურ წვრილმან ვნებათა ღელვაზე მაღლა დადგომას.

რუსი კომუნისტები და გერმანელი დამოუკიდებელნი

ოქტომბრის შუა რიცხვებში ქ. ჰალეში შესდგა გერმანიის დამოუკიდებელ სოციალდემოკრატების ყრილობა. ყრილობას დაესწრნენ თითქმის ყველა ქვეყნის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები. ყრილობა დასრულდა დამოუკიდებელთა გათიშვით. ყრილობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების რეზოლიუციას.

იმის დასახასიათებლათ, თუ რა ანსხვავებს კომუნისტებისაგან გერმანიის დამოუკიდებლებს, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ ცნობილი დამოუკიდებელი სოციალდემოკრატის კრისპიენის სიტყვა, წარმოთქმული ყრილობაზე.

— —

„დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდა მოჰკვდეს—დაიწყო კრისპიენმა,—ასე სწერენ ბურჟუაზიული „მემარჯვენე" სოციალისტური კომუნისტური გაზეთები, და აგრეთვე ის გაზეთებიც, რომლებიც ჯერ კიდევ ითვლებიან ჩვენი პარტიის ორგანოებათ.

ბურჟუაზიის სიხარულმა მარქსიზმის კრიზისის გამო მოიცვა აგრეთვე ხალხის ფართე წრეებიც. მემარჯვენე სოციალისტები ამარტივებენ საკითხს. ისინი ამბობენ: არსებობს ორი გზა—გზა დემოკრატიის ან დიქტატურის; კომუნისტები ემხრობიან დიქტატურას, სოციალისტები კი—დემოკრატიას, და ამგვარათ, დამოუკიდებლებს არა აქვთ არსებობის უფლება. მემარჯვენე სოციალისტები რეფორმისტებათ გადაიქცნენ, ჩვენ იმათგან პრინციპიალური განსხვავება გვყოფს. დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატიული პარტია მის მიერ ლეიპციგში მიღებულ პროგრამაში აცხადებს, რომ კლასობრივი ბრძოლა, რევოლიუციონური საბჭოთა ორგანიზაცია და მასების დაუყონებლივი მოქმედება—არის ჩვენი იარაღი. ამაში მდგომარეობს პრინციპიალური განსხვავება ჩვენსა და მემარჯვენე სოციალისტებს შორის.

რით აიხსნება ის გარემოება, რომ კლასთა ბრძოლის 70 წლის შემდეგ გერმანიაში რევოლიუციონური ფრონტი შეირყა? მიზეზი უნდა ვეძიოთ მუშათა კლასის განვითარების მსვლელობაში ომისა და რევოლიუციის დროს, რომლებმაც მუშათა კლასის რიგებში მოიყვანეს უზარმაზარი რიცხვი შეუგნებელ ელემენტებისა.

თავის განვითარების პროცესში მუშები შეუგნებელ ლატაკების დონიდან მაღლდებიან კლასობრივ შეგნების დონემდის. ამით აიხსნება, რომ ომის დასაწყისში მუშათა დიდი უმრავლესობა ნაციონალისტურათ იყო განწყობილი.

კომუნისტურმა პარტიამ დაივიწყა, რომ კაპიტალიზმი წარმოადგენს პროლეტარიატის უსაშინელეს მტერს. მან ახალი მტერი აღმოაჩინა—დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატია.

ჩვენ გვაშორებს კომუნისტურ ინტერნაციონალიდან, პირველათ ყოვლისა, მისი აგრარული პროგრამა. თუ ჩვენ გავსწევდით გერმანიაში მიწის განაწილების აგიტაციას—ჩვენ ამით ვიმოქმედებდით კონტრ-რევოლიუციის სასარგებლოთ. ილიუზიაა ის ფიქრი, თითქოს მიწის დაპირებით ჩვენ გადმოვიყვანთ გლეხობას რევოლიუციის მხარეზე. ამგვარი აგრარული პოლიტიკით ჩვენ ავამხედრებთ ჩვენს წინააღმდეგ მილიონობით სოფლის მეურნეობის მუშებს. გერმანიაში სოფლად ჩვენი რევოლიუციონური მიზნები იმაში უნდა მდგომარეობდნენ, რომ სოფლის მეურნეობის მუშებმა აიღონ თავის ხელთ განსაზოგადოებრივებული მეურნეობის ხელმძღვანელობა. წვრილ გლეხობის მეურნეობის წაქეზება გერმანიის პირობებში იქნებოდა რეაქციონური საქმე.

მარტო ჩვენ არ ვართ ამ აზრის. ჩვენმა იტალიელმა ამხანაგმა სერატიმ განაცხადა მოსკოვში: დიახ, მე ვეკუთვნი თქვენს ინტერნაციონალს, მაგრამ მე არ შემიძლია მივიღო თქვენი აგრარული პროგრამა: ის ძლიერ ოპორტუნისტულიაო.

ჩვენ უნდა შევაჩეროთ თავისი ყურადღება აგრეთვე საბჭოების საკითხზედაც. ჩვენს პროგრამაში ნათქვამია, რომ საბჭოთა სისტემა იღებს თავის სრულ სახეს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკურ ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ. ჩვენ მოვითხოვთ მასების თვითმოქმედებას. ჩვენ მივისწრაფით ძირიდან აღმშენებლობისაკენ. ამისათვის საჭიროა მასსა, რომელიც მოქმედებს არა რკინის დისციპლინის ბრჭყალებში და არ არის გამსჭვალული პრუსიულ უნტერ-ოფიცრობის სულით. ყოველი კერძო მუშა უნდა იყოს კრიტიკულათ მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა მუშათა მასის წინაშე. მხოლოდ ასეთ მასსას შეუძლია განახორციელოს თავისი მიზნები პოლიტიკურ ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ. ჩვენ ამიტომ უნდა უარვყოთ პირობები, რომლებიც თხოულობენ რკინის დისციპლინის დაწესებას.

ჩვენ აგრეთვე პრინციპიალურათ განვსხვავდებით კომუნისტებისაგან ტერორის და ძალდატანების საკითხში. ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმათ, რომლებსაც ერთგვარ ცნებათ მიაჩნიათ ტერორი და ძალდატანება. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ შეუძლებელია საბოლოო გამარჯვება ბურჟუაზიაზე თუ მოხმარებული არ იქნა ძალდატანებითი საშუალებები, მაგრამ ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია წინასწარ გავითვალისწინოთ, თუ რა საშუალებებით და რა ზომით მოვიხმარებთ ჩვენ ძალდატანებას. ჩვენ ვიმოქმედებთ მომენტის მიხედვით. უნდა ვთქვათ თუ არა ჩვენ წინასწარ, რომ უსათუოდ მივმართავთ ტერორს? შეგვიძლიან თუ არა დაუშვათ ტერორი ჩვენი პარტიული ამხანაგების მიმართ? ჩვენ, რომლებიც ასე ძლიერათ განვიცდით ბურჟუაზიულ დიქტატურის უღელს, არ შეგვიძლია დაუშვათ მუშათა კლასზე პარტიის დიქტატურის დაწესება. ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ ეს გერმანიაში, სადაც ყველა მუშამ იცის წერა და კითხვა. ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ სპარტაკელთა პროგრამა, რომელიც შემუშავებულია როზა ლუქსემბურგის მიერ. მაგრამ როდესაც შტეკერმა დაიწყო ამ პროგრამის გაკრიტიკება, მას უპასუხეს, რომ ის პროგრამა წვრილი ბურჟუაზიულიაო. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვცნობთ პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც გარდამავალ ფორმას, აუცილებელს კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის დროს. პროლეტარიატის დიქტატურა—ჩვენ გვესმის, როგორც გონივრული, შეგნებული, მიზანშეწონილი მთავრობა, რომელიც ხორციელდება სოციალისტური ზნეობის მიხედვით.

ამას გარდა, ჩვენ შორის არის ტაქტიკური განსხვავებაც. პირველად ყოვლისა ვიტყვით, ომისათვის წაქეზებაზე. ჩვენ არ ვეწევით პან-გერმანისტულ წამქეზებლების აგიტაციას, მაგრამ კომუნისტების ომის აგიტაცია, ძლიერ წააგავს პან გერმანისტულ აგიტაციას. ჩვენ მოკლებულნი კი ვიყავით შესაძლებლობას გამოგვექვეყნებინა მოწოდება ომის წამქეზებლების წინააღმდეგ, რადგანაც ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში უკვე გაისმოდა ასეთივე ხმები: ჩვენ არა ვართ პასუხისმგებელნი ვერსალის ზავის აღსრულებაში, მაგრამ ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ანტანტის ქვეყნების და ცენტრალურ ევროპის პროლეტარიატის საერთო მოქმედებით, მე, ჩემს მოვალეობათ ვთვლი განვაცხადო: ჩვენ რუს ამხანაგებს რომ შეეგნოთ თავისი ისტორიული მისია—ისინი მაშინ მოუწოდებდნენ მთელი ქვეყნის პროლეტარებს საერთო მუშაობისაკენ, რომელიც ურთიერთის პატივისცემაზე იქნება დაფუძნებული. ეს ამოცანა რუსებმა არ შეასრულეს. და ამიტომ ჩვენი მოვალეობაა განვახორციელოთ მსოფლიო პროლეტარიატის შეერთების, მის ინტერნაციონალის გარეშემო შემოკრების საქმე. ლენინი ამბობს, რომ გზა, რომლითაც ჩვენ მივდივართ ვერსალის ხელშეკრულების მოსპობისაკენ, წვრილ ბურჟუაზიულია და მოწონებულია კაუცკისა და ჰილფერდინგის მიერ. აქედან თქვენ შეგიძლიანთ დაასკვნათ, თუ რამდენათ არ იცნობენ რუსები იმას, რაც ხდება ჩვენს პარტიაში: რასაც ამბობენ გეიერი, შტეკერი და დეიმიგი ისინი, აწერენ კაუცკის და ჰილფერდინგს. ზინოვიევი თითონ გვეუბნებოდა ჩვენ პეტროგრადში, რომ პოლონეთის ამხანაგებმა ვერ შეიგნეს თავისი საერთაშორისო მოვალეობანი და მოქმედებენ როგორც ნაციონალისტები. ეს გვიჩვენებს, რომ პროლეტარიატი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ნაციონალისტურ ფსიქოზის ტრადიციებისაგან. თუ ეს ასეა, მაშინ შეგვიძლია თუ არა ჩვენ ახლავე შევქმნათ გერმანიაში საბჭოთა რესპუბლიკა? ჩვენ თითონ ვებრძვით ერთმანეთს. ჩვენ ვერ მივაღწიეთ იმასაც, რომ მუშებმა შესწყვიტონ ომისთვის იარაღების მომზადება, ჩვენ ვერ მოვახერხეთ დაგვეწესებინა კონტროლი იარაღის გადაზიდვაზე. უაზროა პარტიიდან იმ ამხანაგების განდევნის მოთხოვნა, რომლებთანაც ჩვენ მრავალი წლები ერთად ვიბრძოდით, ვინაიდან ჩვენ წინ კიდევ სდგას მასების შეერთების და მათში რევოლიუციონური სულის შეტანის მიზნები.

აგრეთვე ჩვენ არ შეგვიძლია შევურიგდეთ კომუნისტების პოზიციას ნაციონალურ საკითხში. მიაქციეთ ყურადღება აზიის ამბებს, მოიგონეთ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა ბაქოში, კავშირი ენვერ ფაშასთან, რომელიც ახალგაზრდა ოსმალთა და ოფიცერთა კასტის წარმომადგენელია—და ერთბაშად გამსჭვალულია ავტოკრატიული სულით, ის ამასთან ერთად არის მთავარი მომწყობი სომხების გაჟლეტისა. როგორც სჩანს ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც სრულიადაც არ იძლევიან ყველა ცნობებს, ორი მილიონ სომხებიდან დახოცილია მილიონი სომეხი ბავშვები, ქალები და მამაკაცები. ძლიერ სულგრძელი უნდა იყო, რომ ასეთ ადამიანს შეუთანხმდე.

აქ კომუნისტები უფრო ტბილნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ამას კომუნიზმის ინტერესები მოითხოვდა. სამაგიეროთ, ისინი უარყოფენ ყოველივე შეთანხმებას ჩვენ პარტიულ ამხანაგებთან, ამ „წვრილ ბურჟუაზიულ არამზადებთან". ეს „წვრილ-ბურჟუაზიული არამზადები" მართლადაც, ძლიერ პატიოსნები არიან, რომ საქმე ენვერ-ფაშასთან ჰქონდეთ!..

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის ტაქტიკა არ შეიძლება განსაზღვროს რომელიმე ერთი ქვეყნის პარტიამ, არამედ—ის უნდა იყოს შედეგი საერთო მსჯელობისა. პარტიის ტაქტიკა სახელმწიფოში არის თვით პარტიის საქმე. ამავე აზრის იყვნენ დეიმიგი და შტეკერი მოსკოვში წასვლამდის. მხოლოდ მოსკოვში განცდილ გავლენის შემდეგ, მათ შეიცვალეს თავიანთი შეხედულება. ამ ამხანაგებს, რომლებმაც ასე უხეშათ დაარღვიეს დისციპლინა, არა აქვთ უფლება მოითხოვონ უსიტყვო დისციპლინის [illegible], მათ ჩაიდინეს პარტიის მიმართ უმძიმესი გამცემლობის აქტი.

მოსკოვში ჩვენ განვაცხადეთ, რომ „მიუხედავათ ყველა ჩვენ შორის არსებულ უთანხმოებათა, „ჩვენ კიდევ შეგვიძლია შევთანხმდეთ. ჩვენ გვსურს თქვენი იდეების პროპაგანდა გერმანიაში. მაგრამ თავდაპირველათ თქვენ უნდა დააკმაყოფილოთ ერთი ჩვენი სურვილი: თქვენ უნდა უარი სთქვათ ჩვენი პარტიის განადგურების ტაქტიკაზე. მე იმათ მაშინვე განუცხადე თუ თქვენ განაგრძობთ მასების წასისიანებას ბელადების წინააღმდეგ, „თქვენ შეხვდებით გერმანიის პროლეტარიატის მედგარ წინააღმდეგობას.

ის უმრავლესობა, რომელიც თქვენ გყავთ ეხლა, არ არის მტკიცე საფუძველი. ჩვენ ვხედავთ, რომ საფრანგეთში, შვეიცარიაში და იტალიაში იწყება პროტესტის მოძრაობა იმათ წინააღმდეგ, ვინც თითქმის აუქმებს აი ამ მაღალ ლოზუნგს (ის მიუთითებს წარწერაზე „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.")

რა სურთ რუს კომუნისტებს? მათ სურთ პარტიას ძველი ბელადების თავიდან მოშორება, რომ შემდეგ ადვილათ გაბატონდნენ მასსებზე. რუსებს სურს არა მარტო მემარჯვენე ბელადების განდევნა, არამედ—ყველა იმ პარტიულ მოღვაწეებისა, რომლებიც დამოუკიდებლათ აზროვნებენ. იმათ უნდათ, რომ გერმანიის მუშათა მასსა რუსეთის რევოლიუციის ბრმა იარაღათ გადაიქცეს. ჩვენ კი გვესაჭიროება ბელადები, რომლებსაც შეეძლებათ თვითონ გაერკვიონ იმაში, თუ რა არის შესაძლებელი და აუცილებელი გერმანიის და საერთაშორისო მაშტაბით.

თვით ლევიმ (გერმანიის კომუნისტურ პარტიის ლიდერია) მოსკოვში სთქვა: სანამ აღმასრულებელი კომიტეტი რუსეთში ჩინურ კედლის იქითა ზის, მანამ ჩვენ გვყავს არა ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი, არამედ რუსეთის კომუნისტური პარტიის ისპოლკომი.

ბევრს ლაპარაკობენ იმ „მოწოდების შესახებ, რომლითაც მესამე ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტმა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტის გარეშე, მიმართა ჩვენი პარტიის წევრებს. ჩვენ ბრალს გვდებენ იმაში, რომ ხელი შევუშალეთ ამ დოკუმენტის გამოქვეყნებას. ჩვენ არ უნდა მივცეთ ჩვენს პარტიულ პრესაში ადგილი ჩვენი პარტიის მისამართით შეურაცხყოფას და გინებას. ამხ. ზინოვიევო, როგორ მოექცეოდით თქვენ რუსეთში იმათ, ვინც გაბედავდა რაიმე ამის მზგავსს რუსეთის კომუნისტური პარტიის წინაშე? მოსკოვის ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს, რომ პარტიამ შეირცხვინა თავი დიტმანისა და კრისპიენის რუსეთში გაგზავნით. ჩვენთან არც კი ჰფიქრობდნენ მოლაპარაკების წარმოებას, სურდათ მხოლოდ ჩვენი მოსმენა. ასეთივე როლი ჰქონდა მომზადებული გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიას (მეორე კომუნისტურ პარტიას გერმანიაში) ხომ იმუქრებოდით თქვენ, ამხ. ლევი, კონგრესიდან წასვლით იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდნენ დაშვებულნი გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები, და მერე ხომ თანდათან მორბილდით და ბოლოს დაკმაყოფილდით პრეზიდიუმიდან გამოსვლის შესახებ განცხადებით? გერმანიაში კი იგივე ხალხი ამავე პოზაში დგებიან და კითხულობენ: რატომ არ გამოააშკარავეს თავისი შეხედულებები კომუნისტურ მუშათა პარტიის დელეგატებმა მოსკოვში?

მოსკოვის მიერ წამოყენებულ პირობებზე მე არ შევჩერდები.

ეს პირობები ნიშნავენ არა დამოუკიდებელ სოც.-დემოკ. პარტიის დაცვას, არამედ მის გადასვლას გერმანიის კომუნისტურ პარტიაში.

თუ ეს ყრილობა დაადგენს მოსკოვთან შეერთებას, ჩვენ ხმა-მაღლა განვაცხადებთ, რომ დავრჩებით გერმანიის დამოუკიდებელ პარტიათ, ჩვენ ვალდებულნი ვართ შევინარჩუნოთ დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია იმიტომ, რომ გერმანიის პროლეტარიატს ესაჭიროება წარმომადგენლობა, რომელსაც ის ვერ მიიღებს ვერც მემარჯვენე სოციალისტებს, ვერც კომუნისტებს. ჩვენ წავალთ ამ ყრილობიდან შეერთებულნი და ამ მთლიანობით ძლიერნი. დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატია მომავალშიაც მტკიცე კავშირს დაიჭერს ყველა ქვეყნების რევოლიუციონურ სოციალისტურ პარტიებთან. ჩვენ მხარეზეა ფაქტების ძალა, ჩვენ მხარეზეა სინამდვილე. ჩვენ კვლავ შევაერთებთ გერმანიის პროლეტარიატის რიგებს; ჩვენ ყველა ძალებს შევალევთ მთლიან რევოლიუციონურ ფრონტის აღდგენის საქმეს.

დღეს

ერთა ლიგამ საგანგებო კომისია აირჩია და დაავალა სომხებისა და ქემალისტებს შორის მტრული განწყობილების მოსპობა.

პარიზსა და ლონდონს შორის გრძელდება მოლაპარაკება საბერძნეთის შესახებ.

ლიონის ცნობით ირლანდიაში ინგლისის საწინააღმდეგო არეულობანი გრძელდება.

ბალშევიკების ცნობით ფინეთის მთავრობა გადადგა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან

22 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შემდეგი ნოტა გაუგზავნა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოში:

ვადასტურებ რა თქვენი ნოტების მიღების მიმდინარე ნოემბრის 10-ს თარიღით №№ 3294 და 3297 ვითომდა ქ. ბათომის მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ შეთანხმების ერთ ერთ სახელმწიფოს მიერ, მაქვს პატივი განმეორებით დავადასტურო 4 ნოემბრის № 4599 ჩემს ნოტაში აღნიშნული მოსაზრებანი და განვაცხადო, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ყოფილიყო საფუძვლიანად ჩაგვეთვალა ხმები ბათომის ვითომდა მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ.

ქალ. ბათომი და ბათომის ოლქი წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ბუნებრივსა და განუყოფელს ნაწილს და მათზე ვრცელდება განსაკუთრებული სუვერენული ხელისუფლება საქართველოსი, და ამიტომ ყოველი ღონისძიება მათი ხელუხლებლობის დასაცავად, უკეთუ მას რაიმე საფრთხე მოელის, უნდა გამომდინარეობდეს არა სხვა ვინმესაგან, არამედ—საქართველოს მთავრობისაგან.

საქართველოს ხალხი, რომელმაც დიდი მსხვერპლის გაღებით შესძლო თავისუფლების მოპოვება და დაცვა, შესძლებს აგრეთვე მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველს ცდას, მისი სუვერენიტეტის დასარღვევად, ან მისი ტერიტორიის წინააღმდეგ მიმართულს, ვისგანაც და რა მოსაზრებითაც უნდა მოხდეს ასეთი ცდა. და თუ, როგორც ეს აღვნიშნე 4 ნოემბრის № 4599 ჩემს ნოტაში, ამ საკითხში საქართველო ვისგანმე თანაგრძნობას მოიპოვებს, ეს იქნება ჩათვლილი საქართველოს ხალხის მიმართ მეგობრულ გრძნობათა გამოსახვად.

ხოლო ყოველი განზრახვა საქართველოს სუვერენიტეტის შელახვისა და მუქარა მისი ტერიტორიის დარღვევისა, უკეთუ ამას ადგილი ექნება, ვისი მხრითაც უნდა იქნეს იგი მომართული, ცნობილ უნდა იქნეს როგორც აქტი აშკარად იმპერიალისტური ხასიათისა, ისე, როგორც ყოველი გამოსვლა ბათომის დამცველად, რამდენადაც ეს გამოსვლა მოხდება საქართველოს მთავრობის ცნობისა და თანხმობის გარეშე.

გთხოვთ ზემოაღნიშნული აუწყოთ რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობას.

მიიღეთ და სხვ.

საგარეო საქ. მინისტრის მაგიერ **კ. საბახტარიშვილი**. 22 ნოემბერი 1920 წ.
№ 10188.

როგორც ძმები და ბრძოლებში დანათესავებული მებრძოლები, ჩვენ თანხმობით ვივლით მიზნისაკენ, ყველა დევნისა და ჩვენს წინააღმდეგ მომართულ ცილისწამების მიუხედავათ. ჩვენ გავიმარჯვებთ და ჩვენი გამარჯვებით იქნება აგრეთვე პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება. („ფრაიჰაიტი“).

ემილ ვანდერველდე საქართველოს შესახებ

ბრიუსელის გაზეთ „Le Pouple“-ს ოქტომბრის 21 №-ში მოთავსებულია ემ. ვანდერველდეს წერილი სათაურით—„პირველი სოციალისტური მთავრობა“. მთელი წერილი საქართველოსადმი მხურვალე თანაგრძნობით არის გამსჭვალული. ავტორი დაწვრილებით ახასიათებს ქართველ დემოკრატიის მიერ განვლილ გზას და მთავრობის მიერ შექმნილ პოლიტიკას. საქართველოს მთავრობას ავტორი უწოდებს პირველ სოციალისტურ მთავრობას ქვეყანაზე. წერილი ამ სიტყვებით თავდება: „რათა საქართველოს მიერ დაწყებული საქმე და ცდა, რომლის დიდი მნიშვნელობა ყველასთვის თვალსაჩინო უნდა იყოს, კეთილად განვითარდეს და დაგვირგვინდეს, საჭიროა გარკვეული საერთაშორისო მდგომარეობა ჰქონდეს მას: საქართველოს მთავრობა, რომელიც „დე-ფაქტო“ ცნობილია, კიდეც ახლო მომავალში უნდა ცნობილ იქმნას „დე-იურე“ თუ რომ ქვეყნად სადმე არსებობს ისეთი მხარე, რომელსაც თავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლით და ერთსულოვნების სრული შეგნებით დაუმსახურებია ცნობა, ასეთი უწინარეს ყოვლისა საქართველოს რესპუბლიკაა.

„ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ახლო მომავალში საქართველოს უფლებები ცნობილ იქნება“.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

23 ნოემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბალშევიკური)

სამხედრო ცნობები

მოსკოვი, 23 ნოემ. მოზირის რაიონში, მოზირის სამხრეთით 25 ვერსზე და დასავლეთით 15 ვერსზე ჩვენ ადგილები დავიკავეთ: პრიპიატის მარცხენა ნაპირზე ჩვენ დაბა ხოიონიკი ავიღეთ. მტრის მთავარი ძალა თავს იყრის მოზირის აღმოსავლეთით, კოროსტენ-მოზირის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ნაროვლი აიღო და ლისკას რაიონისკენ წინ წაიწია. სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მდ. სლოვეჩაიას მარცხენა ნაპირზე წინ წაიწია. და უკან დახეულ მტერს სდევნის. წამოვიყვანეთ ტყვეები, ვოლოჩისკის მიმართულებით ჩვენი ჯარი მტრის შევიწროებას განაგრძობს. ჩვენი ჯარი ვოლოჩისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 ვერსზე იმყოფება. ნოემბრის 20 ჩვენ წამოვიყვანეთ 500 ტყვე, ხელთ ვიგდეთ 17 ტყვიისმფრქვეველი, ჯავშნიანი მატარებელი „ზაპოროჟეცი“ ორი ზარბაზნით და 6 ტყვიის მფრქვეველით.

პროფ. კავშირთა საერთაშორისო კონგრესი.

პროფ. კავშირთა საერთაშორისო კონგრესი შესდგება ლონდონში 22 ნოემბ. დღის წესრიგში სდგას: 1) საერთაშორისო ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ; 3) საკითხი ვალიუტის სოციალიზაციის და ნედლი მასალის განაწილებისა.

მთავრობის გადადგომა.

ერიხის მთავრობა ფინეთში გადადგა. მიზეზი გადადგომისა მხარის ეკონომიური მდგომარეობა და ამნისტიის გამოუცხადებლობაა.

ლიონის ცნობები

საფრანგეთ იტალიის კავშირის სიმტკიცე.

„პტი პარიზიენ“-ს მოჰყავს „მორინგპოსტში“ დაბეჭდილი წერილების ზოგიერთი ადგილი, სადაც ხაზგასმულია საფრანგეთ ბრიტანეთის კავშირის სიმტკიცე. ჩვენმა მეგობრობამ საფრანგეთთან, სწერს ინგლისური გაზეთი, სარგებლობა უნდა მოუტანოს ორივე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ ერთი მათგანი გაჭირვებაშია ან თუ მოელის რაიმე საფრთხე.

არეულობა დუბლინში.

სინ-ფეინერთა შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ სოკუპაციო კორპუსის იმ ოფიცერთა სადგომებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ საველე-სასამართლოში, სადაც აჯანყებულთა საქმე ირჩეოდა. მოკლულია რამდენიმე ინგლისელი ოფიცერი.

ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა შესდგა კვირას გიმანსის თავმჯდომარეობით. დაესწრო ლეონ ბურჟუა. განიხილეს პოლონეთ-ლიტვის სადაო ტერიტორიაზე სახალხო კონსულტაციის დაარსების საკითხი.

„მატენი“ სწერს: ერთა ლიგის მეხუთე კომ. სიის სხდომაზე, (ამ კომისიას დავალებული აქვს ერთა ლიგაში ახალ სახელმწიფოთა საკითხის განხილვა) ვივიანმა შემდეგი წინადადება შეიტანა არც ერთი სახელმწიფოს მიღება არ შეიძლება ერთა ლიგაში, თუ ის არ აკმაყოფილებს 4 მოთხოვნილებას, სახელდობრ: 1) სახელმწიფომ უნდა აღასრულოს ყველა ინტერნაციონალური ვალდებულება, რომელიც მას მიუღია თავის თავზე. 2) ამ სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს პასუხისმგებელი მთავრობა, რომელიც ხალხის ვალდებულებებს მიიღებს თავის თავზე. 3) ეს სახელმწიფო ისე უნდა იყოს გაწერიგებული, რომ ერთა ლიგა დარწმუნებული იყო მის მიერ მიღებულ ვალდებულებების აღსრულებაში. 4) სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ნამდვილი საზღვრები და ამ საზღვრებში მისი მცხოვრებლები ერთის ეროვნებას წარმოადგენდენ. თათბირის შემდეგ კომისიამ, რომელშიაც შედის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი, ერთხმად მიიღო ვივიანის წინადადება. „მატენი“ აღნიშნავს, რომ დიდბრიტანეთის წარმომადგენელმა ფიშერმა პირველმა დაუჭირა მას მხარი. ლორდ რობერტ სესილი მიემხრო მას უკამათოდ.

მეფის მოადგილე ინდოეთში.

„დეილ ექსპრესი“ იუწყება: ლორდ ჩელმსფორდის მაგიერ ინდოეთში დაინიშნა მეფის მოადგილე უელინგტონი.

გერმანული ცნობები

გერმანიის პროტესტი.

გერმანიის მთავრობამ მიმართა ბელგიას საპროტესტო ნოტით ბელგიის პრემიერის განცხადებისა და ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნების გამო, შესახებ ეიპენის და მალმედის ბელგიასთან შეერთებისა, მას შემდეგ, რაც ეს ადგილები 100 წელზე მეტია ჩამოცილებულია. ბელგიაზე ნოტა აცხადებს, რომ ეიპენი და მალმედი პრუსიას ეკუთვნოდა დიდი ხნის წინედ სანამ ახლანდელი ბელგიის სამეფო დაიწყებდა არსებობას.

გერმანელ მოსამსახურეთა კავშირი.

მაგდებურგში შეიკრიბა გერმანელ მოსამსახურეთა კავშირის დელეგატები და შეადგინეს მოსამსახურეთა ცენტრალური კავშირი, რომელშიც 350,000 წევრი შევა.

მეორე ინტერნაციონალის გარშემო.

ბერლინში სოც.-დემოკრატთა მიტინგზე კამილ გიუისმანსი, მეორე ინტერნაციონალის მდივანი, ბალშევიკების წინააღმდეგ გამოვიდა და დაახასიათა ისინი, როგორც რუსეთის რევოლიუციონური მაროდერები, პური და ზავი საფლავს გაუთხრის ბალშევიზმს, რომელიც დღემდე სცოცხლობს ომით. მაშასადამე, თუ ზავი იქნა დამყარებული, ბალშევიზმის ლიდერები პირველად ყოვლისა ლენინი ჩქარა მოისპობიან. გიუისმანსმა იმედი გამოსთქვა, რომ მიუხედავათ ზოგიერთი უთანხმოებისა, მთელი ქვეყნის სოც. დემოკრ. მეორე ინტერნაციონალს მიემხრობა.

ელჩთა კონფერენცია და გერმანია.

ნახევრად ოფიციალურად ადასტურებენ, რომ გერმანიის მთავრობას არა სურს აღსრულება ელჩთა კონფერენციის მოთხოვნილებისა, რომელიც იმ ორი ცეპელინის გადაცემას შეეხება, რომლებიც გერმანიას სჭირდება საჰაერო დამოკიდებულებისათვის და მას (მთავრობას) არა სურს აგრეთვე ააშენოს სამი ახალი ცეპელინი, ან მათი ღირებულება გადაიხადოს. ეს სამი ცეპელინი უნდა გადაეცეთ მოკავშირეებს იმ 5 ჰაეროპლანის სამაგიეროთ, რომლებიც მოკავშირეებს უნდა გადასცემოდა და რომლებიც დროებით ზავის შემდეგ გერმანელებმა გაანადგურეს. გერმანიის ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ სკაპაფლოს ოქმი ნათლად და გარკვევით აღნიშნავს გერმანიის იმ ყველა ვალდებულებათ, რომელნიც შეკავშირებულნი არიან სამხედრო მასალათა განადგურებასთან, ისე რომ, ახალი მოთხოვნილებების წამოყენება ყოვლად მიუღებელია.

რელიგიური სწავლა-აღზრდის შემოღება.

ლაიპციგის უმაღლესმა სასამართლომ გადასწყვიტა, რომ ჰამბურგის, ბრემენის და საქსონიის საგანგებო კანონი, რომელიც სრულებით სპობს საზოგადოებრივ შკოლებში რელიგიურ სწავლა-აღზრდას—კონსტიტუციის წინააღმდეგია. ეს კი კვლავ რელიგიურ სწავლა-აღზრდის შემოღებას ნიშნავს.

აღმოსავლეთის შესახებ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იტალიის ელჩთან საუბარი ჰქონდა აღმოსავლეთის საქმეების შესახებ.

საბერძნეთის გარშემო.

პარიზსა და ლონდონს შორის გრძელდება მოლაპარაკება საბერძნეთის საკითხის შესახებ.

სომხეთის საკითხი ერთა ლიგაში.

პარასკევს დილით ერთა ლიგის სხდომა მოანდომეს სომხეთის საკითხს. საფრანგეთის დელეგატმა ვივიანმა შეიტანა წინადადება, რომ ერთა ლიგის საბჭოს მთავრობებთან ერთად დაისახელებია ის სახელმწიფო, რომელსაც მიანდობენ ზომების მიღებას სომხებსა და ქემალისტების შორის მტრული განწყობილების მოსასპობათ. ვივიანის წინადადება მიიღეს. დანიშნული იქნება 6 წევრი, რომელთაც მიენდობათ ზომების გამოძებნა იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა.

იტალიის მისიის ცნობა

ლისსაბონი. პორტუგალიაში შესდგა ახალი კაბინეტი პროგრესისტ ალვარეცის თავმჯდომარეობით.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ნოემბრის 23.

გაფიცვათა შედეგი.

პარიზი. „ტანი“ სწერს: გაფიცვათა შედეგები უფრო ძლიერია ბოლონიაში, მილანში და ტრიესტში. ამ ქალაქებში მომხდარმა ამბებმა მთელი იტალია კომუნისტების წინააღმდეგ აამხედრა. პოლიტიკურ და მუშების წრეებში ამბობენ, რომ სოციალისტებსა და ბოლშევიკ-ანარქისტებს შორის სრული განხეთქილება მოხდა. პრესა წესრიგის დასამყარებლად მთავრობასა და საზოგადოების ენერგიულ ჩარევას მოითხოვს.

ახალი კაბინეტის მოლოდინში.

რომი. „იდეა ნაციონალი“ იუწყება; ჯიოლიტი ფიზიკურად იმდენად სუსტად გრძნობს თავს, რომ შესაძლებელია ახლო მომავალში მას მთავრობის თავმჯდომარის ადგილის დატოვება მოუხდეს. ჯიოლიტის კანდიდატათ ასახელებენ ნიტის.

საბჭოთა რუსეთში სიწყნარე ყოფილა

პარიზი. „ტანი“-ს სიტყვით რუსეთში მომხდარ არეულობის შესახებ ევროპის პრესის ცნობის საპასუხოდ ჩიჩერინმა სთქვა, პეტროგრადში ისეთივე მყუდროებაა, როგორც საბჭოთა რუსეთის დანარჩენ ქალაქებში. რუსეთში მომხდარ არეულობის შესახებ მოთავსებული ცნობები ყალბია. რუსის საზოგადოების მორალური მდგომარეობა საუცხოვოა.

ქემალის მიზანი.

ლონდონი. „ტაიმსი“ სწერს: ქემალისტების ძირითადი მიზანი სომხეთში არის მოკავშირეებზე და ამერიკაზე ზეგავლენის მოხდენა. იმ აზრით, რომ შეჩერებულ იქნეს ბერძნების წინსვლელობა მცირე აზიაში. თანახმად ცნობებისა კონსტანტინოპოლის მთავრობა არავითარ პრესტიჟით არ სარგებლობს.

სომხეთში

„აშხატავორის“ ცნობით: სომხეთის ჯარები ახლა დგანან მდინარე არაქსის მარცხენა ნაპირზე, აბარანისა და შირაქის შუა, სადგ. არაგანიდან სადგ. შახტახტამდე, რომელიც სომხების ხელშია.. სურმალუ, სადაც სომხეთის ჯარები წარმატებით იბრძოდენ, სომხებმა დასტოვეს იმის შემდეგ, რაც ოსმალებმა გუმბრი აიღეს.

ხალხის სულიერი განწყობილება მტკიცეა; მას სწამს საბოლოო გამარჯვება. საერთო მოთხოვნილებაა კოალიციური კაბინეტი, რაც უკვე სისრულეში მოჰყავთ.

კათალიკოსმა მიმართა ევროპის გამოჩენილ პირებს, სხვათა შორის, ინგლისის კენტერბერის ეპისკოპოსსაც თხოვნით, რომ დაეხმარონ სომხეთის ხალხს.

ეჩმიაძინის სასულიერო აკადემია ომის გამო დახურულია.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

287 მილიონის გატაცება. 6 ოქტომბერს „პრავდას“ ცნობით, მოსკოვში რამდენიმე კაცი თავს დაესხმია ნარკომფინის ეტლებს და გაუტაციათ 287 მილიონი მანეთი. მიღებულ იქნა ჩეკას მიერ სასწრაფო ზომები და რამდენიმე დღის შემდეგ გამოარკვიეს ეს ბოროტმოქმედება, რომლის მთავარი მონაწილეც აღმოჩნდა შოფერი ივანოვი; სულ გაძარცვაში მონაწილეობა მიუღია 9 კაცს; თითოეულს განაწილების შემდეგ შეხვედრია 30 მილიონი მანეთი.

მარილი სოფლის მცხოვრებთ ოქტომბრის დღესასწაულის გამო. კამნარკომპრომმა ამხ. ბრიუხანოვმა ყველა გუბპროდკომებს და პრედგუბსოვეშნარხოზებს —20 ოქტომბრის თარიღით შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ გამოიმუშაოთ გეგმა მცხოვრებთათვის იმ მარილის მიწოდებისა, რომელიც თქვენ მომარაგებული გაქვთ და თქვენს განკარგულებაშია. მარილი უნდა მიეცეს მცხოვრებთ მათზე შეწერილი სურსათის გაღების გამო. მარილის გაცემა შეუთანხმეთ ოქტომბრის რევოლიუციის მესამე წლის თავის დღესასწაულს. ამ მარილის მიცემის შესახებ საყოველთაოდ გამოაცხადეთ და მიუთითეთ იმაზე, რომ ამ ფაქტით სახელმწიფო შეძლებისდაგვარათ ასრულებს თავის ვალდებულებას იმ მცხოვრებთა წინაშე, რომლებიც კეთილსინდისიერათ სრულებენ თავის მოვალეობას, და სახელმწიფოს აძლევენ ძალას და საშუალებებს უკვე მესამე წელი წავიდეს ოქტომბრის რევოლიუციის დიად მონაპოვართა განვითარების და გამაგრების გზით. („იზვესტია“—№ 240).

მოძრაობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. უკრაინის საბჭოთა პრესა ადასტურებს ცნობებს უკრაინაში მომხდარ დიდ აჯანყებების შესახებ, კიევის გაზ. „უკრაინსკაია ბედნოტა“-ს 27 ნოემბრის ნომერში სწერია: „გუშინ რომ ვიშეგოროდის (კიევიდან 10 ვერსის მანძილზე) მიმართულებით ზარბაზნების სროლა იყო, გამოწვეული ყოფილა პეტლიურას ბანდების მოახლოვებით, რომლებიც კიევზე შესეტევათ ემზადებოდნენ „ქალაქის მცხოვრებლებს მოვუწოდებთ მშვიდათ იყვნენ, რადგანაც წითელი კიევის მუშები არავის არ მისცემენ ნებას, რომ მათი წითელი ფერი ყვითელ-ცისფერათ შეუცვალონ“. გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ კიევში დიდი პანიკაა.

კიევის „იზვესტია“ იტყობინება, რომ მე 2-ე კომუნისტურ სარეზერვო პოლკმა პეტლიურის მომხრე აჯანყებულებთან 8 საათის განმავლობაში ბრძოლის შემდეგ უკან დაიბრუნეს ქალაქი უმანი, სადაც აჯანყებულებს ოთხი დღის განმავლობაში იქ ყოფნისას დაუხვრეტიათ თურმე 17 პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი კომუნისტები.

„გაზეთი „უკრაინა“, იუწყება, რომ აჯანყებულებს რკინის გზების სატელეგრაფო და ტელეფონის ხაზები გაუფუჭებიათ ეკატერინესლავის, ხერსონის და სხ. გუბერნიების რაიონში, ბერდიჩევისა და კაზატინის შუა, გაზეთის სიტყვით, საბჭოთა ორი ჯავშნიანი მატარებელი განუწყვეტლივ დადის.

ახალი ამბები

ფოილოს ხიდი. 18 ნოემბერს ფოილოს ხიდზე გაემგზავრა გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟინერი ბ. ჰეჩინაძე, გზათა უფროსის ინჟინერ ა. კანდელაკის და სალიანდაგო ნაწილის უფროსის ინჟინერ კარპოვიჩის თანხლებით, ფოილოს ხიდის ოფიციალურად მისაღებათ და მასზე მოძრაობის გასახსნელათ. მიღებას ადერბეიჯანის რკინის გზების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

◆ **გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში.** გაზეთებში მოთავსებულ ყალბ ცნობების გასაფანტავად შესახებ იტალიურ გემ „ანკონა“-სი გაუწყებთ, რომ როგორც სჩანს ბათომის ნავთსადგურის უფროსის საგანგებო კომისარისადმი პატაკისა, გემი „ანკონა“ დატვირთული იყო საქონლით საქართველოს მთავრობისათვის და მხოლოდ ის ნივთები, რომელიც საქართველოს მთავრობას არ დასჭირდებოდა, გადაეცემოდა სომხეთს ან სპარსეთს. გემი „ანკონა“ იტალიის სახელმწიფო რკინის გზების უწყებას ეკუთვნის და არავითარი დარღვევა საერთაშორისო კანონებისა მას არ ჩაუდენია. იგი გაჩერდა რეიდზე და არ შევიდა ბათომის ნავთსადგურში, რადგანაც არ იცოდა, სად უნდა გადაეტვირთა საქონელი, ბათომში თუ ფოთში და თბილისიდან განკარგულებას ელოდებოდა. ტვირთის მანიფესტი (სია) გასინჯულ იქნა ნავთსადგურის უფროსის მიერ, საიდანაც აღმოჩნდა, რომ გემზე არავითარი იარაღი და თოფ წამალი არ ყოფილა. ამას უნდა დავუმატოთ, რომ გემის ნავთსადგურში შემოყვანაში ინგლისელები არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ. (სდს.)

◆ **საქართ. პროფ. კავ. ცენტ. საბ. აღმასრულებელი კომიტეტი** აწყობს მთელ რიგს საუბრებისა პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ. პირველი მოხსენება შესდგება პარასკევს, 26 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე. მოხსენებას გააკეთებს ს. მ. ზარეცკაია რუსეთის პროფეს. მოძრაობის შესახებ. მოწვეული არიან საბჭოს კავშირთა გამგეობების წევრები და საზოგადოთ პროფესიონალურ მოძრაობის აქტიური მომუშავენი.

◆ **სახალხო გვარდიის სახლში** კარლ კაუცკის სახელობაზე“ კვირას, 28 ნოემბერს. საგანგებო ბათალიონის მიერ გამართული იქნება გრანდიოზული საღამო ფრიდრიხ ენგელსის დაბადებიდან 100 წლის ხსოვნის აღსანიშნავათ. საღამოზე მოწვეულ იქნება კარლ კაუცკი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი** მომავალ სემესტრისა სახალხო უნივერსიტეტის ლექციების კითხვა აღუთქვეს შემდეგმა პირებმა: 1) პროფ. გ. ახვლედიანმა—დასავლეთ ევროპის ლიტერატურიდან. 2) პროფ. შ. ნუცუბიძემ—ფილოსოფიიდან. 3) ინჟ. ჰ. მამრაძემ—ჰიდროტეხნიკიდან. ამ ჟამად ლექციების კითხვა სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში უკვე დაიწყო დამფ. კრების წევრმა ბ. თევზაიამ.

◆ **წარმოდგენა ჯარში** დღეს მე-7 ქვეითა ათასეულში იმავე ათასეულის ოფიცერთა და ჯარის კაცთა მიერ მსახიობ ჩაგუნავას ხელმძღვანელობით წარმოდგენილ იქნება ვ. გუნიას 5 მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **თფილისის მუნიციპალურ მუშამოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელი** კომიტეტი იწვევს დელეგატთა ყრილობას სამშაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს $5^{1}/_{2}$ საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში.

◆ **ჯანმრთელობის დეპარტამენტის** ნებადართვით პლეხანოვის პროსპექტის რაიონში (ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 73) დაწესდა ღამე და დღე ექიმების მორიგეობა. ავათმყოფებთან გაწვევა შეიძლება დღე და ღამ ყოველ დროს.

◆ **პროფ. ტოტომიანცის ლექცია.** დღეს ქართულ კლუბში ტოტომიანცი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ცხოვრების სიძვირე და მასთან ბრძოლა“. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

◆ **კონცერტი სახალხო სახლში.** 28 ნოემბერს დღის 12 საათზე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გუნდის მიერ გამართული იქნება სახალხო კონცერტი, აპოთეოზით და ცოცხალი სურათებით.

◆ **სახელმწიფო დრამის თეატრში** ამ ჟამად დაჩქარებით ამზადებენ ალ. შანშიაშვილის ორიგინალ ტრაგედიას „ბერდო-ზმანია“-ს. ეს პიესა პირველად დაიდგმის წელს განახლებულს ქართულ თეატრში. იგი შეიცავს მრავალს სასიმღერო და საცეკვაო ადგილებს, რომელთა მუსიკა ჩვენს კომპოზიტორს დ. არაყიშვილს დაუწერია. როგორც გადმოგვცემენ, პიესა დიდს შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე თვით პიესას და ბალეტსაც ამზადებს რეჟისორ ალ. ახმეტელი. დეკორაციებს მხატვარი ვალ. სიდამონ-ერისთავი ჰხატავს. „ბერდო-ზმანია“ დაიდგმის 4, 7 და 9 დეკემბერს. ბილეთები უკვე ჩინებულად იყიდება.

◆ **მილიციის ცნობები.** 19 ნოემბერს დააპატიმრეს ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების (ტეხნიკური ნაწილი) აგენტები კონსტანტინე გიორგის ძე იაკობაშვილი და გიორგი ივანეს ძე მენთეშაშვილი, აღნიშნულ პირებმა წისქვილებზე აგენტებათ ყოფნის დროს ჩამოართვეს მარტყოფის მცხოვრებთ ფქვილი, გაჰყიდეს იგი 20 000 მანეთად და ფული მიისაკუთრეს, საქმე სათანადო უწყებას გადაეცა.

— 14 ნოემბერს სისხლის სამართლის მილიციის აგენტებმა დააპატიმრეს სოფ. შულავერში და თფილისში ჩამოიყვანეს: სურენ ჩაბანოვი, არგაის ალავერდოვი და მოსეს ცატუროვი, რომლებმაც ა/წ. აგვისტოში პიატიგორსკში გაძარცვეს ტერ-სიმონოვი და ტერ-კარაპეტოვი; წაღებული ჰქონდათ ნივთები, ღირებული 5 მილიონ მან. ნაწილი საქონლისა აღმოჩენილი იქნა თფილისში, ნაწილი—შულავერში. საქონელი პატრონებს გადაეცა. დაპატიმრებულნი ციხეში ჩასვეს, ხოლო საქმე გადაეცა თფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს სათანადო განკარგულებისათვის.

— აქციონერულ საზოგადოება „ფილმა“-ს ადმინისტრაციამ განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ ანგარიშის დროს აღმოჩენილ იქნა ხსენებულ საზოგადოებიდან სისტემატიური ქურდობის წარმოება. სისხლის სამართლის მილიციამ მოპარული საქონლის ერთი ნაწილი აღმოაჩინა და დაუბრუნა კუთვნილისამებრ.

— 18 ნოემბერს მალალოვის ბინიდან, ახალი ბებუთოვის ქუჩა № 3, მოპარულ იქნა 5,000,000 მანეთის ტანისამოსი და ძვირფასი ნივთები. სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია რომ ნივთები მოპარულია მოსამსახურეს მიერ, რომელიც რამოდენიმე დღის წინად ყალბი საბუთით დამდგარა მალალოვთან. მიღებულია ზომები მის დასაჭერათ.

კრებები.

დღეს, 24 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე შედგება სოც.-დემ. პარტიის სომხურ სექციის სხდომა.

— ოთხშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს 7 ს. დანიშნულია სტუდენტთა კავშირის გამგეობის არაჩვეულებრივი. კრება სტუდენტთა სასადილოში. წევრების დასწრება აუცილებელ.

მომარაგების სამინისტროში

საზღვარ გარეთიდან თფილისში დაბრუნდა მომარაგების მინისტრის ამხანაგი ი. ქავჭანიძე, რომელმაც საქართველოს დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ცნობები გადასცა: ი. ქავჭანიძემ [illegible] კონსტანტინოპოლში, ლონდონში, პარიზში, რომში, გენუაში და სხვა ქალაქებში. გამგზავრების მთავარი მიზანი იყო მომარაგების სამინისტროს მიერ უცხოელ ფირმებთან უშუამავლო დამოკიდებულების დაკავება. ეს მიზანი კარგათ შესრულდა. ჩვენ შევძელით დაგვეჭირა კავშირი მთელ რიგ ფირმებთან, რომლებმაც განაცხადეს სურვილი საქართველოში თავიანთ ფაბრიკატების შემოტანისა, რომლის საფასურათ ეს. ფირმები საქართველოს მომარაგებისაგან მიიღებენ ნედლ მასალას. ი. ქავჭანიძის სიტყვით ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები დიდი ყურადღებით და სიყვარულით ეპყრობიან საქართველოს. ამ მიმართულებით ნიადაგი ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრის კანდელაკისაგან იყო მომზადებული, ვინაიდან მას თან დიდძალი ცნობები ქონდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრის შესახებ. კანდელაკმა შესძლო საფრანგეთისა და იტალიის ფინანსიური და სამრეწველო წრეების საქართველოთი დაინტერესება. კანდელაკს ყველგან კარგათ ხვდებოდენ; ვინაიდან მან შესაფერ წრეებში დიდი სიმპატიები დაიმსახურა. კანდელაკის მისიის მუშაობამ მოამზადა ნიადაგი გეგეჭკორისათვის, რომელიც პარიზში მილიერანმა და ლეიგმა მიიღო. გეგეჭკორი პარიზში დიდის თავაზიანობით მიიღო, ამასთანავე მას გარკვევით განუცხადეს, რომ საქართველო იქნება ცნობილი იურიდიულად, ვინაიდან მან უკვე დაიმსახურა უფლება დამოუკიდებელ ცხოვრებისათ. ამ მიმართულებით იმდენად დიდი შედეგები არის მიღწეული, რომ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებსაც წინეთ გაგონებაც არ სურდათ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ დღეს თვითონ ხელს უწყობენ ჩვენ მუშაობას. საფრანგეთის პალატის დეპუტატები, ამბობენ, რომ თუ მთავრობამ დააგვიანა საქართველოს იურიდიული ცნობა, მაშინ ამ საქმეში თვითონ პალატა აიღებს ინიციატივასო. სხვათა შორის, საქართველოს დამოუკიდებლობის ცხარე დამცველი არის რუსეთში ყოფილი ელჩი ნულანსი, რომლის თავმჯდომარეობით პარიზში საქართველოს წარმომადგენლების პატივსაცემლად ბანკეტი გაიმართა. შემდეგ ი. ქავჭანიძე შეეხო დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ვითარებას და გამოსთქვა რწმენა, რომ ევროპა ბალშევიზმისაგან ძლიერ შორს არის. იტალიის შრომის სამინისტროს მდივანმა ლაბრიოლამ განუცხადა ი. ქავჭანიძეს, რომ საერთოთ იტალიაში რეაქციონური განწყობილება არის. მოელიან ახალ კაბინეტის შედგენას, რომლის ტენდენციები მილიტარისტული იქნებაო. მაგრამ ეს რეაქცია არ იქნება ხანგრძლივი, მას მუშათა გამოფხიზლება მოჰყვება თან. საზღვარ-გარეთ რუსები ბლომათ არიან. კონსტანტინოპოლის შესახებ ამბობენ, რომ რუსებმა ოსმალეთის სატახტო ქალაქი უომრათ აიღესო. ყველგან რუსული ლაპარაკი მოისმის. სხვათა შორის, ქავჭანიძე იუწყება, რომ ხალხთა ლიგის წინასწარ კონფერენციაზე, რომელიც შესდგა მილანში ოქტომბრის 12 და რომელსაც არა ოფიციალური ხასიათი ჰქონდა, დაესწრო გადამწყვეტი ხმის უფლებით საქართველოს წარმომადგენელი ჯაყელი, რომელმაც წარადგინა მოხსენება საქართველოს შესახებ. საქართველოს საკითხის განხილვის შემდეგ კონფერენციის თავმჯდომარემ შეიტანა წინადადება საქართველოს ხალხთა ლიგაში მიღების შესახებ. ეს წინადადება მიღებულ იქნა დიდი ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ რუსების ხმისა, რომელთა შორის აქსენტიევი იყო. (სდს).

შრომის დაჯილდოვება

შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებულ შრომის დაჯილდოების პროექტის შესახებ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შემდეგი დასკვნა გამოიტანა: ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტს, რომელიც სასურველად სთვლის რა შრომის ნაყოფიერების გადიდებას რა გზითაც არ უნდა ხდებოდეს იგი, აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია საქმის ინტერესებისათვის, რომ შრომის დაჯილდოვება შემოღებულ იქნას თანდათანობით. პირველ რიგში ჯილდო უნდა მიეცეს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ე. ი. იმ საქონლის რაოდენობის გადიდებისათვის, რომელსაც სამრეწველო დაწესებულებანი ამზადებენ. ჯილდოს მიცემის წესების დეტალურად შემუშავება გაადვილებული იქნება, რადგანაც თფილისში არის გამოცდილება. 1914 წლამდე თფილისში არსებული ზოგი წარმოება ნარდათ მუშაობის სისტემას აწარმოებდა. დეპარტამენტს სასურველად მიაჩნია, რომ დაჯილდოების წესები უბრალო და ყველასათვის ნათელი იყოს, რათა ამ გვარათ თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა და საჩივარი. ამისათვის კი საჭიროა შეიქნას ამ საქმის პრაქტიკულად მცოდნეთაგან შემდგარი კომისია. ეს კომისია შემდეგში გადაიქცევა შრომის სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ ორგანოთ, რომელსაც მინდობილი ექნება შრომის დაჯილდოვების ყოველგვარი საკითხები. ამ კომისიას მოუხდება გამორკვევა მრავალი საკითხისა, რომლებიც შრომის დაჯილდოვების საკითხთან იქნება დაკავშირებული მაგ. საწარმოვო დაწესებულებათა უზრუნველყოფა, ნედლი სათბობი და ხელსაწყო მასალებით ან საწარმოვო იარაღებით, ბაზრის გაცნობა და სხვ. ყველა ეს დაკავშირებული იქნება ჯილდოთა მიცემის საკითხთა (სდს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს დედათა და ბავშვთა საზოგადოების დღეა

რესპუბ. თავდაცვის ფონდის მთავარი კომიტეტი

აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით ამა წლის 20 ს ნოემბერს საღამოს 7 ს. სასახლეში შესდგა პირველი სხდომა რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის კომიტეტისა, რომელსაც დაესწრეს ქალაქთა კავშირიდან ნ. ელიავა, ერობათა კავშირიდან ი. ს. სტურუა, თფილისის ქალაქის გამგეობიდან ვ. ხახანაშვილი, სავაჭრო სამრეწველო პალატიდან—დ. ოფხაზი, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტიდან გ. გვაზავა, სოციალ რევოლიუციონერთა პარტიის მთავარი კომიტეტიდან ი. გობეჩია, ნაციონალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტიდან გ. ვეშაპელი, დაშნაკცუტიუნის მთავარი კომიტეტის წარმომადგენელი გ. ტერ-სტეფანიანი, და ფონდის დამხმარე მთავარი კომიტეტის წარმომადგენელი ს. ქურდოღლიანი. კომიტეტმა მდივნათ აირჩია ვ. ხახანაშვილი.

რესპუბლიკის დაცვის ფონდის შექმნის საშუალებათა შესახებ კომიტეტს ქონდა ხანგრძლივი მსჯელობა და დაადგინა: 1. თავდაცვის ფონდის უმთავრეს შემოსავალ საგნებათ ჩაეთვალოს ა) ხორბლეულობა (პური, სიმინდი, ლობიო, ცერცვი და სხვ., იმ პროვინციებში, სადაც ამითი მოსავალი არ არის: ყველი, მატყლი და სხვ.) ბ) ნივთები (ძვირფასი ქვები, თვლები, ოქრო, ვერცხლი, ოქრო-ვერცხლის ნაწარმოები, ნოხები და სხვ.) და გ) ფული. 2) სასწრაფოთ შეუდგეს კომიტეტი საორგანიზაციო მუშაობას, შეადგინოს ერობის, კოოპერაციის და პოლიტიკურ პარტიათა ადგილობრივი თავდაცვის (სამაზრო და საქალაქო) კომიტეტები იმავე წესით, როგორც მთავარი კომიტეტია. კომიტეტმა გამოყო ორი დროებითი სპეციალური კომისია: 1) ინსტრუქციის შემდგენელი (აკ. ჩხენკელი, ის. სტურუა, ვ. ხახანაშვილი) და 2) მოწოდებისა (აკ. ჩხენკელი, გ. ვეშაპელი, ი. გობეჩია). აგრეთვე დასახელებულ იქნა სამი უმთავრესი კომისია: 1) საპროპაგანდო, 2. შემკრებ-შემნახველი და 3. სარევიზიო.

შემდეგი საბოლოო საორგანიზაციო სხდომა კომიტეტისა დანიშნულია ა/წ. 25 ნოემბრის საღამოს 7 საათზე სასახლეში. (სდ).



ბავშვებისთვის

ჩვენში ბავშვები მუდამ უყურადღებოთ იყვნენ მიტოვებული. მათი აღმზრდელი იყო მხოლოდ ქუჩის მტვერი და დუქნების ქეიფი. განსაკუთრებით ღარიბ ბავშვებს ქონდათ ეს ბედი. მყრალი ქუჩების სუნნელებასთან ერთად შეეძინათ მთელი ბოროტება მაყრუებულ მივიწყებულ ადგილების. მამა—სამუშაოზე—დედა სამუშაოზე—ბავშვი უპატრონოთ—ასეთი იყო სურათი. თუ იყო ბავშვთა ბაღი სადმე—მხოლოდ მდიდრებისთვის, ვისაც სათანადო ფასის გაღება შეეძლო. ღარიბები კი იტანჯებოდნენ მტვერსა და სიბინძურეში.

რევოლიუციის შემდეგ ეს სურათი შეიცვალა. ბავშვებს გაუჩნდა მფარველი, ახალთაობას მზრუნველი და პატრონი.

ყოფილი [illegible] სკოლის ფლიგელები შეიქნა მათი განვითარების სკოლათ. დედათა და ბავშვთა მფარველი საზოგადოება მათ მხსნელ ანგელოზათ.

მიდით ამ ბავშვთა ღარიბულ სასახლეში და იქ იპოვნით თქვენ—თუ რა ნიჭი და ხალისი თურმე იფარება ღარიბთა უბნებში. ცნობილ ივანეს ასული გორდონის მეთაურობით შეგროვილ ბავშთა მეგობრებს, როგორიცაა ექიმი ნემსაძე, და მხატვარი თოიძე და სხვა თანამშრომლები, აქ გაუმართავთ ბავშვთათვის კლუბი, სახელოსნო, სამხატვრო, სახელსაქმო, სათამაშო და სხვ. ყველა წლოვანების და ჰასაკის ბავშვი ჰპოვებს აქ თავის საქმეს. დილიდან საღამომდე მოდის მოზარდი თაობა და აკეთებს იმას, რაც უნდა.

აქ მათთვის ყველაფერია. დილით მომსვლელთ ასწავლიან, უვლიან და ასაზრდოებენ, ესენია სკოლის ჰასაკამდე არა მიღწეული ბავშვები. სკოლის ჰასაკიანი მოდიან ნაშუადღევს. და სწავლობენ ერთნი ხელობას, კერვას, ქრას, მეჩექმეობას, დურგლობას, მეორენი მხატვრობას, სხვანი ტანვარჯიშობას. მეოთხენი სიმღერას.

აქ მათთვის არის კლუბი, თავის თავმჯდომარით, თავის სასამართლოთი.

ბავშვები არიან ამ ფლიგელების პატრონი და გამგე. ეს მათი სახლია, რომელშიც თავს სრულიად თავისუფლად და ამაყად გრძნობენ. ნაძალადევს და დიდუბეს აქვს აქ ბავშთათვის სამდროვო თავშესაფარი. დანარჩენი კუთხეები ქალაქის ჯერ კიდევ მოკლებულია ასეთ სახლს. ამ ბავშვთა საზოგადოებას კი დიდი სურვილი აქვს განყოფილებების გახსნის. მაგრამ ამისთვის საჭიროა თანხა, დიდი თანხა, მილიონები, საზოგადოება უკვე დღესვე ხარჯავს მილიონებს იმაზე, რაც აქვს. მუშტაიდის ბავშვთა კლუბზე, ორთაჭალის თავშესაფარზე, სადაც 150-მდე ობოლი ბავშვი ყავს აყვანილი სრულ თავის ხარჯზე, და ძუძუმწოვართა სახლზე, სადაც ქარხნის მუშა ქალები სტოვებენ თავიანთ ძუძუმწოვარ ბავშვებს.

—დღეს საღამოა ამ ბავშვების სასარგებლოთ სახელმწიფო ოპერის თეატრში, კვირას ქართულ კლუბში; ამ ბავშვებისათვის მოგმართავენ თქვენ მოქალაქენო შეწირულებისთვის. თქვენი ვალია არ დაიშუროთ წვლილი ამ კეთილი, მშვენიერი, წმინდა საქმისთვის.

მოხედეთ ბავშვებს. იგინი ჩვენი ქვეყნის მომავალია.

სენაკის სამაზრო ერობის ხმოსან მე-4-ხე ყრილობა

(დასასრული).

სასკოლო დარგიდან მოხსენებას აკეთებს **ვ. გაგუა.** მოხსენებიდან გამოირკვა, რომ შარშან პირველ დაწყებითი დაბალ სასწავლებლები ყოფილა 114, წელს მიმატებია 10, სულ ყოფილა მაზრაში გახსნილი 124. მოწაფეები ორივე სქესისა—11,120 პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი 18. ამისთვის დახარჯულია 300,000 მან. მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია ასეთი სასწავლებლების გახსნა, განსაკუთრებით მთაგორიან ადგილებში, სადაც კულტურულათ ჩამორჩენილია ხალხი და ვერ წვდება ცენტრს. აღნიშნავს გახსნილ სასოფლო სემინარიის უნუგეშო მდგომარეობას საკუთარი ბინის უქონლობის გამო და მოუწოდებს ყრილობას, რომ მოძებნონ მისთვის ბინა.

მაზრაში აგრეთვე გახსნილია სამეურნეო სასწავლებელი ძველ სენაკში და თამაკონში. პირველში ყოფილა 5 მასწ. და 64 მოწაფე, თამაკონში 6 მასწ. და 31 მოწაფე. განათლების განყოფილებას გაუხსნია სამოსწავლო კურსები, რომლისთვის დახარჯულა 150,000 მანეთი.

პირველ ნოემბრის სხდომა.

პ. ქავთარაძე. აცნობს ყრილობას სამხედრო და ადმინისტრატიული განყოფილებათა მუშაობას. ის აღნიშნავს, როგორ და რა წესით მიმდინარეობდა საქმის წარმოება. აღრიცხავს მიღებულ ჯარის კაცთა რაოდენობას და დეზერტირობის წინააღმდეგ ერობის მხრივ მიღებულ ზომებს. მოხსენებიდან გამოირკვა რამდენი ჯარის კაცთა ოჯახს მიუღია დახმარება და რა სახით.

სტატისტიკური განყოფილების მუშაობის შესახებ ყრილობას აძლევს ცნობას **ა. გაგუა.** მან აღნიშნა, რომ ხსენებულ განყოფილებაში დაწყებულა მუშაობა ა. წ. პირველ იანვრიდან. საგანგებო ხელმძღვანელის უქონლობის გამო არ ყოფილა სისტემატიური მუშაობა. მან გააცნო ყრილობას ვინ რამდენათ ისარგებლა სახალხო მეურნეობით. პირდაპირ დანიშნულება კი განყოფილებას შეუსრულებია იმდენათ, რამდენათ ამისთვის საჭირო პირობები ხელს უწყობდა.

სასურსათო დარგის შესახებ მოხსენებას აკეთებს **რ. გამსახურდია.** 1919 წ. ანგარიშის მოხსენება უკვე გაკეთებულია მესამე ხმოსანთა ყრილობაზე, რაც შეეხება ა. წლის ანგარიშს, უნდა ითქვას, რომ გამგეობას უხდებოდა მუშაობა მეტათ რთულ პირობებში, რომლის დროს განსაკუთრებით ხელს გვიშლიდა ფულის უქონლობა. იმ დროს, როდესაც გამგეობას გარს ეხვია მშიერი მასა, მაგრამ მაინც შეეძლო იმათი დაკმაყოფილება იმდენათ, რომ ექსცესებს არ ჰქონია ადგილი. პირველ იანვრიდან შეძენილა 23,800 ფ. სიმინდი და დარიგებულა დანიშნულებისამებრ. რაც შეეხება სარევიზიო კომისიის შენიშვნას ხორბლის, მარილის დანაკლისის შესახებ, უნდა მოგახსენოთ, რომ ანგარიში უნდა გაეწიოს იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც სწარმოებდა სასურსათო ოპერაცია თავიდანვე. რაც შეეხება მარილს, ის მოდიოდა აუწონავად და ასე მიქონდათ ურმებით საწყობებში. გადატან-გადმოტანის დროს მარილს უსათუოდ დააკლდებოდა. რაც შეეხება ორდერების გაცემის გამგის მხრივ და უპასუხისმგებლობას, მე ეს არა სამართლიანი შენიშვნათ მიმაჩნია, იმ მოსაზრებით, რომ განყოფილების გამგეს არ შეუძლია ავტონომიური მუშაობის წარმოება. ის დამოკიდებულია კოლეგიასთან და არც ერთი ნაბიჯი არაა გამგეობის [illegible] გადადგმული. საწყობებში, პასუხისმგებელია საწყობების გამგე, როგორც საქონლის მიღების, აგრეთვე დარიგების დროს. ასე რომ ნაკლის შესახებ მთელი პასუხისმგებლობის სიმძიმე არ შეიძლება მიეწეროს მარტო განყოფილების გამგეს, არამედ იმ პირობებს, რომელიც გამოწვეულია თავიდანვე—სასურსათო საქმის დაწყებიდან.

აგრარულ განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს **ან. ჯაფარიძე,** რომელიც ამბობს: ჩვენ განყოფილებას ქონდა ორი დანიშნულება. ერთი შვიდი მარტის კანონი, რომელიც ეხება მამულების ჩამორთმევას, მეორე 28 იანვრის კანონი, რომელიც ეხება ჩამორთმეულ მამულების დარიგებას. პირველი იყო დაწყებული 1918 წელს, რომელიც უკვე დასრულდა, მხოლოდ, რაც შეეხება დანაწილებას, ფაქტიურად ისიც დამთავრებულია. მიმდინარე წელს კომისიამ მოასწრო მუშაობა 113 მემამულეებთან: მათ დაუტოვა 1529 დეს. და 4697 დეს მიიღო ფონდში. იყო მოწერილობა, რომ მამულების დარიგება დაჩქარებულიყო, მაგრამ ეს გაჭიანურდა იმდენად, რამდენადაც გამოსარკვევი იყო უმიწაწყლო გლეხების რაოდენობა, მასთან რაოდენობა დასარიგებელ მამულებისა. პროექტების დამზადება და ცნობების გამორკვევა, ითხოვდა დიდ დროს, ამისთვის ჩვენ მივმართეთ ცენტრს, რომ გაემარტივებინა მუშაობა, იმ მხრივ რომ ჩამორთმევასთან დაგვეწყო მამულების დანაწილებაც. ასეთი ჩვენი მიმართვა ცენტრის მიერ გაზიარებულ იქნა და ჩვენ დავიწყეთ მუშაობა ამ ფარგლებში, მაგრამ მუშაობა რომ გვეწარმოებია სასურველათ, ამისთვის გვჭირდებოდა იმდენი მდივნების დაქირავება, რამდენიც იყო კომისიები, რომელიც გავადიდეთ 19-მდის. ამ მუშაობის პროცესში ჩვენ დაგვჭირდა გაგება, მცირე მიწა-წყლიან გლეხებს რამდენი ქონდათ საკუთარი მიწა, რომლის შესახებ წარმოადგინეს თავის მხრივ მოწმობები, მაგრამ ამის წინააღმდეგ წავიდნენ ადგილობრივ თემთა მცხოვრებნი, იმ მოსაზრებით რომ, ვითომდა მათი წარმოდგენილი მოწმობები არ იყო სწორი და მოითხოვდნენ ამა თუ იმ პირს მიეცემოდა მოწმობა ხალხის დასტურით. ვინაიდან ეს ართულებდა მუშაობას, ჩვენ იძულებული შევიქენით ორის და ასის თავების საშუალებით მოგვეკრიფა ცნობები. ამ რიგათ ჩვენ გამოვიკვლიეთ დასარიგებელ მამულების რაოდენობა, რომელიც უდრის 40,000 ქცევას. და რიგების დროს ჩვენ სახეში ვიქონიეთ ოჯახის სულის რაოდენობა, რომლის დროს თითოეულ სულს მოუწია 1½ ქცევა. ამ რიგათ განაწილების საქმეც თითქმის დამთავრებულია. მიწების ფასები გამოანგარიშებულია შემდეგ ნაირათ: 1 ხარისხის 900 მ; 2 700; 3) 500 მანეთი. ამის გარდა ჩვენ დაგვჭირდა სახეში მიგველო ადგილობრივ ხარჯები.

პირველ ხანებში სასოფლო კომისიებს შრომის ფასი არ ეძლეოდათ, მაგრამ ვინაიდან მათ დასჭირდათ დიდი დრო და ენერგიის ხარჯვა, ამისთვის არჩეულ ფასებს დაემატა 500 მანეთი. დანაწილებულ მიწებიდან ჯერ-ჯერობით შემოსულია სამ მილიონამდის. რეფორმის გატარების დროს გლეხებთა შორის განხეთქილებას არ ქონია ადგილი.

ხალ. მის სხდომა.

თავმჯდომარეობს ლუკა დავითაია. ტექნიკურ განყოფილების მუშაობის შესახებ, გამგის დაუსწრებლობის გამო, მისს მიერ დაწერილ მოხსენებას კითხულობს ვლ. ხოფერია. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამ დარგში მუშაობა დამაკმაყოფილებელი ყოფილა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. **სოლომონ ადამია.** თქვენ აქ მოისმინეთ მოხსენებები გამგეობის და განაჩენი სარევიზიო კომისიისა. ჩვენი წინანდელი ბიუჯეტი არ გამართლდა. რამდენიმე მილიონიდან შემოსულა მხოლოდ ორი მილიონი. ეს აქ ახსნეს უხერხულ პირობების მიზეზებით, რომელიც არ არის მართალი. ეს მიეწერება გამგეობის უმოქმედობას, ამდენი ხნის ანგარიშის წარმოუდგენლობაც არ შეეფერება გამგეობას.

მოხსენება აგრონომიულ განყოფილების და სარევიზიო კომისიის ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. აქ ითქვა, რომ ერობას ქონია 40 ათასი ქცევა მიწა დასარიგებელი მაშინ, როდესაც ხსენებულ განყოფილებას არსად ერთი საცდელი მინდორი არა აქვს, ეს უნდა ჩაითვალოს დანაშაულათ. არც სასკოლო დარგშია დიდი რამე გაკეთებული. არ არის შესაფერი მასწავლებელთა კადრი შემდგარი, არც პროგრამაა შეცვლილი და არც სისტემა. რაც შეეხება სააგრარო განყოფილებას, მე მის მუშაობის შესახებ კრიტიკას არ შევეხები, რადგან თვით ასეთი რეფორმა არ მწამს. ხსენებულს ადამიას (სოც. რევოლიუციონერი) **ასეთი მიწის რეფორმა ხალხისთვის დიდი რამეთ არ მიაჩნია.** მისი აზრით არცერთ დარგში ყოფილა საქმე სასურველათ დაყენებული. **ვლადიმერი დეჟურია** ეხება მხოლოდ სასკოლო დარგს. ეწინააღმდეგება წინანდელს ორატორს და ამტკიცებს, რომ ამ დარგში გაკეთებულა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა.

გ. ბოკერია. ჩვენ შენიშვნებით უნდა გამოვიწვიოთ მხოლოდ საქმის დახმარებისთვის და არა მარტო კრიტიკის ინტერესით. მას არაობიექტიურათ მიაჩნია სარევიზიო კომისიის დასკვნა და მასთან აქარწყლებს ადამიას მოყვანილ მოსაზრებებს.

ბ. თევზაია. როგორც მოეხსენება ყრილობას, ძველი გამგეობა მიდის და უნდა იქნას არჩეული ახლები, ამიტომ ჩვენის მხრივ მათი მუშაობას დასკვნა სჭირია. ჩვენ წინაშე სდგას კითხვა. სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა მუშაობდა თუ არა კარგად და ღირსია—თუ არა პატივისცემის? უნდა ითქვას, რომ ეს ერთად ერთი გამგეობაა მთელს რესპუბლიკაში. მას ვერავის შეუძლია ჩირქი მოსცხოს, ვინაიდან მასში იყო მოყოლილი საუკეთესო ძალები. შემცდარია ის, ვინც ამბობს, რომ სკოლებში პროგრამა არ არის შეცვლილი, მხოლოდ მართალია ის, რომ სისტემა არ არის შეცვლილი, მაგრამ ამ შემთხვევაში გამგეობა არ არის მტყუანი, ვინაიდან ასეთი კითხვა იჭრება რესპუბლიკის მაშტაბით და არა მაზრის. არის აგრეთვე სხვა დეფექტებიც, რომელიც გამგეობას არ მიეწერება. მას შეუძლებლად მიაჩნია, რადგანაც არ არის საკმარისად მომზადებული კადრი მასწავლებლების, ამისთვის შეწყდეს რომელიმე სკოლებში მეცადინეობა და ხალხი აცდევინონ მასწავლებლების მომზადებას. საექიმო განყოფილების შესახებ, წინა ყრილობაზე დავადგინეთ, ექიმობა ყოფილიყო უფასოთ, ეს გატარდა, მაგრამ საამისო შრომის ფასი იმათ ვერ აინაზღაურეს. მას შეუძლებლად მიაჩნია ექიმების ისეთი მდგომარეობაში ჩაყენება, რომლითაც შესაძლო იქნება, იმათ დაკარგონ ექიმობის უნარი. აგრონომიული დარგის შესახებ ორატორს არ მიაჩნია სარევიზიო კომისიის შენიშვნების ყველა მუხლები სწორად, რადგან არ ყოფილა წაგება იმდენად, რამდენად ხმები იყო. დასასრულს იწონებს გამგეობის მუშაობას და თვლის მათ მადლობის ღირსად.

ბარნაბა ძულაია. აქ ხმოსნები—აფასებენ გამგეობის მუშაობას და ზოგიერთები გამოდიან მხოლოდ კრიტიკის თვალსაზრისით და თქვენ ხედავთ, რომ გამგეობა უძლებს ყოველგვარ კრიტიკას, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი მხრივ არის გაკეთებული საქმე და აქ უსაფუძვლო კრიტიკას არ უნდა ქონდეს ადგილი. როდესაც, ჩვენ ვაკრიტიკებთ გამგეობას, ვეკითხებით თუ არა ჩვენ თავს იმას შესახებ, რომ თუ ვეხმარებით რამეში? [illegible] თუ არა ხალხს, რომ ერობას სჭირია ფული და ამისთვის საჭიროა ხალხმა გადასახადები თუ სხვა, თავის დროზე შემოიტანონ. ორატორს მთელი გამგეობის მუშაობა თავიდან დაწყებული ბოლომდის მიაჩნია მოსაწონათ და დადებითი დასკვნის ღირსათ.

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: სენაკის სამაზრო ერობის მეოთხე ხმოსანთა ყრილობამ მოისმინა რა გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები, გამგეობის მოქმედების შესახებ 1920 წ. განმავლობაში, რომლებიდანაც ჩანს, რომ გამგეობას საერთო მძიმე პირობებში, მიუხედავათ უსახსრობისა და საჭირო ძალების უყოლობისა შედარებით ბევრი კარგი და მაზრისათვის სასარგებლო საქმეების გაკეთება მოუხერხებია. დამშეულების შეძლებისამებრ დახმარებით, გზა ხიდების [illegible] შენებით, ტექნიკურ ძალების ნაყოფიერი ამოძრავებით, სკოლების დაარსებით, საექიმო საქმის მოწყობით და სტატისტიკური საქმის მოწყობით, მაგრამ ამასთანავე ადგილი ქონია ისეთ შეცდომებს, როგორიცაა მაგალითად სასურსათო საბჭოსაგან საწყობებისაგან და მათში მოთავსებული საქონლის ერთად აუწონლათ და დაუთვალიერათ მიღებას, რასაც მოყოლია შედეგათ ზოგიერთი საქონლის და მათ შორის რამდენიმე ვაგონი მარილის და ნაკლისი. ყრილობა საერთოთ უკმაყოფილებას გამოთქვამს ერობის მიერ თავისს მოვალეობის შესრულებაზე და აცხადებს სურვილს, რომ მომავალში თავიდან აცილებულ იქნას გამგეობის მუშაობაში ყოველგვარი უსისტემობა, რომელსაც შესაძლოა მოყვეს ერობისათვის რაიმე ნივთიერი ზარალი და გადადის მორიგ საკითხზე.

3 და 4 ნოემბრის სხდომა. გარჩეულ იქნა მიმდინარე კითხვები აგრეთვე სათემო დებულება და საბიუჯეტო კომისიის მიერ შემუშავებულ ხარჯ-აღრიცხვა. სათემო დებულებაში საყურადღებოთ დარჩა ყრილობისათვის პიროვნული, ე. ი. თემისთვის, თუ კოლეგიალური გამგეობა. ყრილობამ მიიღო პიროვნული (9 ხმა, წინააღმდეგ 7) საფინანსო კომისიის მიერ წარმოდგენილ ხარჯ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქნა. მოსამსახურეებს მოემატა ჯამაგირი 25%, გამგეობას 50%. დასასრულს მოხდა გამგეობის არჩევნები. არჩეულ იქნენ: ისიდორე მალანია (თავმჯდომარე) წევრნი პეტრე ქავთარაძე, მიშა ნოდია და გრიგოლ ცაკვაშვილი. მეხუთე ადგილი დარჩა ღიათ. ყრილობა იყო ერთსულოვანი და საქმიანი.

ფელიანე.

ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობისათვის

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიულ კავშირის გამგეობა ამით აუწყებს, რომ დღეს, 24 ნოემბერს დილის 10 საათზე ქ. თფილისში ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი სახ. 123) გაიხსნება **ცეკავშირის რწმუნებულთა 1-ლი წლიური ყრილობა** შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და საქართველოს კოოპერაცია.
2. რწმუნებულთა კრებისთვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
3. კავშირის 1919 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
4. მოკავშირეთა ბიუროს მოხსენება.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
5 კავშირის 1920 წლის მოქმედების მიმოხილვა და 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
7. კავშირის მომავალი მოქმედების გეგმა.
8. მოკავშირეთა ბიუროს ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
9. სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
10 კავშირის წესდების გადასინჯვა.
11. საქართველოს კოოპერატიულ ბანკის გამგეობის მოხსენება.
12. კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
13. მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის გამგეობა.

ბინის საკითხი

ბინის საკითხი ჩვენში ერთი მეტად მწვავე საკითხთაგანია. მას თითქმის ისეთი ალაგი უჭირავს, როგორც სასურსათო საკითხს. მთელი საზოგადოება დაინტერესებულია ამ საკითხით და ათასგვარი პროექტები მუშავდება მისი ასე თუ ისე გადასაჭრელად. ცხადია, ეს კითხვა არ დაისმებოდა, ასე მწვავეთ, რომ საკმაოდ ბინები იყოს.

ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ გადავავლებთ თვალს სტატისტიკურ ცნობებს ამ საკითხის შესახებ და იქიდან შესაფერ დასკვნებს გავაკეთებთ, თუ რამდენათ მცირეა დღეს ბინები საერთოდ და სად უფრო მეტია ამ მხრით გაჭირვება.

ბინის სივიწროვე თფილისში არაა ახალი მოვლენა. ჯერ კიდევ 1910—1912 წლის უძრავ ქონებათა გადაფასებამ მოგვცა ასეთი ცნობები:

უბნები.	მცხოვრებთა რიცხვი.	ოთახების საერთო რიცხვი.	თით. ოთახზე მოდის საშუალოთ (სული).
1	43646	9735	4,5
2	42136	9876	4,3
3	17991	8492	2,1
4	33448	7337	4,6
5	25758	5105	5,0
6	20235	3229	6,3
7	41300	8279	5,0
8	30473	7211	4,2
9	35749	11784	3,0
10	30385	11712	2,6
11	14557	5267	2,8
12	8272	4806	1,7
სულ.	343950	92842	3,7

ამ გვარად თით. ოთახზე 1910—1912 წლის მოდიოდა საშუალოთ 3,7 სული.

მაქსიმუმი შევიწროება ბინების ყოფილა, როგორც მოყვანილი ცხრილიდან სჩანს მე 5, მე 6 და მე-7 უბნებში.

ყველაზე მეტი ხალვათობა ბინების მხრით ყოფილა მე-3, მე-10, მე-11 და მე-12 უბნებში.

ეხლა გადავავლოთ თვალი 1917 წლის აღწერის ცნობებს:

უბნები.	მცხოვრებთა რიცხვი*).	ოთახების რიცხვი**).	თითო ოთახზე მოდის საშუალოდ (სული).
1	26047	14538	1,1
2	20558	13256	1,55
3	15839	10536	1,5
4	17391	9858	1,76
5	19332	6953	2,78
6	16219	5709	2,84
7	25096	11105	2,26
8	23124	9899	2,33
9	29002	16008	1,8
10	25604	16451	1,56
11	26472	10313	2,57
12	17181	8583	2,0
სულ.	261865	133209	1,96

მიუხედავათ იმისა, რომ ამ აღწერას ბევრი დეფექტები ჰქონდა და ცნობები სათანადოდ არ იკრიბებოდა, ამ ცხრილიდან ჩვენ მაინც დავინახეთ, რომ ბინის სივიწროვეს 1917 წელს ჰქონია ადგილი. საშუალოთ ოთახზე 1917 წელს მოდის 1, 96 სული, ან მთელი ციფრით 2 სული.

ამ წელშიაც უმთავრესი სივიწროვე ბინების ყოფილა მე-5, მე 6, მე 7, მე-8 და მე-11 უბნებში, სადაც 2½ სულამდე მოდის თითო ოთახზე, ხალვათობა ყოფილა 1, მე 2 და მე 3 უბანში.

მე 12 უბანი, რომელიც 1912 წ. შედარებით ხალვათად იყო დასახლებული, 1917 წელს მეტად შევიწროებულია. თითო ოთახზე მოდის 2 სული.

როგორია მდგომარეობა დღეს? სახლების აშენებაზე 1917 წლიდან დღემდე ლაპარაკიც მეტია. პირიქით, ამ დროს განმავლობაში არა თუ აშენდა რამე, არამედ ბევრი სახლი კიდეც დაინგრა. ამიტომ ჩვენ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ოთახების რიცხვი თფილისში ერთ დონეზედ დგას 1917 წელთან შედარებით. ამის გარდა 1917 წლიდან მცხოვრებლებთა რიცხვი თფილისში საშუალოთ გაიზარდა, ყოველ შემთხვევაში 50% თ მაინც. ამიტომ ჩვენ სრულიად მართალნი ვიქნებით, თუ საშუალოთ თითო ოთახზე ეხლა ვიანგარიშებთ არა-ნაკლებ 2½ სულისა.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ლტოლვილები და გადმოხვეწილები უმთავრესად განაპირა უბნებს მიაწყდა, მაშინ ჩვენ თვალწინ გადიშლება საშინელი სურათი მცხოვრებთა ჭედრობის განაპირა უბნებში.

ის სივიწროვე, რომელიც არსებობდა 1917 წელში განაპირა უბნებში, ჩვენ მოგვეხდება გადიდება 50%-თ, თუ მეტით არა, და მივიღებთ თითო ოთახზე 4—5 სულს.

ეს გარემოება კი გვეკარნახებს აუცილებლად გადასინჯულ იქნას ბინებში მოსახლეობა, მოხდეს ბინების თანასწორად განაწილება და რაც უმთავრესია, ვიწროთ დასახლებულ უბნებიდან თანდათან უნდა გადმოყვანილ იქმნას უფრო ხალვათად დასახლებულ უბნებში, უბინაობის მიერ შევიწროებული ხალხი, უმთავრესათ კი ისეთები, რომლებიც რაიმე ღირებულებას ჰქმნიან სახელმწიფოსთვის. რაც შეეხება პარაზიტულ ელემენტებს, მათ წინააღმდეგ უნდა მიღებულ იქმნას შესაფერი ზომები. ეს ხალხი უნდა მოშორდეს თფილისს, რომ ცოტათი მაინც განელდეს ის კრიზისი, რომელსაც დღეს ჩვენი ქალაქი განიცდის ბინის და სურსათის სფეროში.

არჩილ რუხაძე.

---

*) მცხოვრებთა რიცხვი აღებულია 1917 წ. 4 ივლისის სასურსათო აღწერიდან.

**) ცნობები აღებულია 1917 წლის საერთო აღწერიდან.

ბავშვობის და დედობის დაცვის საზოგადოება

მოწოდება დემოკრატ ქალებისადმი.

დღეს ბავშვობისა და დედობის დაცვის საზოგადოება აწყობს ამ სიმპატიურ და დიდ მნიშვნელოვან საზოგადოების დაწესებულებების სასარგებლოდ ყულაბებით ფულის შეგროვებას. არც ერთი თქვენგანი არ უნდა დარჩეს დღეს პასიური მაყურებელი, ყველა თქვენგანმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ მუშაობაში, ვისაც რით შეგიძლიათ, მუშაობით თუ ფულის შეწირვით, ნუ შეგრცხვებათ მცირე შეწირვის, გახსოვდეთ, რომ ყოველი კაპეიკი, რომელსაც თქვენ შესწირავთ და მათ თქვენ მოვალეობას მოიხდით, იხარჯება თქვენივე შვილებზე, ხმარდება უპატრონო ღარიბ ბავშვებს, უდედ-მამოს და ნახევრად ობლებს.

ფაბრიკებთან ბავშვთა თავშესაფრები, ქ. სხვადასხვა უბნებში კონსულტაციები, სადაც დედებს ეძლევათ უფასოდ კრუპა, შაქარი და ექიმის რჩევა, მუშტაიდში საზაფხულო ბაღი და კლუბი, სადაც ღარიბი ბავშვები სწავლობენ, მასთან აქვთ ჩაი, სადილი და ტანისამოსი, ორთაჭალაში ბავშვთა სახლი, სადაც 200 ბავშვი ცხოვრობს საუკეთესო პირობებში, ყველა ეს დაწესებულებები არსებობენ იმიტომ, რომ თქვენ და თქვენ შვილებს შეუმსუბუქონ გაჭირვებული მდგომარეობა, რომ თქვენი შვილები აიცდინონ შიმშილ-წყურვილს და ქუჩის გამრყვნელ ზეგავლენას.

ჩამოთვლილ დაწესებულებებს გარდა საზოგადოების გამგეობას გადაწყვეტილი აქვს, კიდევ სამ რაიონში გახსნას კონსულტაცია და მოაწყოს რძისთვის სამზარეულო, საიდანაც ღარიბ დედებს მიეცემათ რძე უფასოდ ბავშვებისთვის. აღნიშნული საზოგადოების მუშაობა ხდება ქალთა ორგ. ბიუროს დიდი თანამშრომლობით. იქ არიან გაგზავნილი ჩვენი წარმომადგენლები, რომლებიც ყოველგვარ მუშაობაში იღებენ მონაწილეობას და იცავენ დემოკრატიის ინტერესებს, მასთან ბავშვების მიღება ხდება ბიუროს მიერ არჩეული კომისიებისაგან.

ყველა ეს დიდით დაეხმარე და თქვენთვის სასარგებლო დაწესებულებები თხოულობს, როგორც დიდ მუშაობას, ისე დიდ ნივთიერ საშუალებას. ამიტომ არის მოწყობილი დღეს ყულაბებით ფულის შეგროვება, რომლისთვისაც მოგიწოდებს ქალთა ორგანიზაციის ბიურო.

დაეხმარეთ, რითაც შეგიძლიათ დღევანდელ მუშაობას.

ს. ს. დ. ქალთა ორგ. ბიურო.

განცხადება

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამ წერილს თქვენს გაზეთში დაუთმოთ ადგილი:

მე ცხოვრებამ მაიძულა შევსულიყავი ბოლშევიკების სამსახურში ქალ. კავკავში. იქ ვმსახურობდი ორი თვე. შემდეგ კი მოვახერხე და თავი დავაღწიე გამოქცევით. ბოლშევიკებთან ყოფნის დროს მე მათ რწმენასთან არავითარი საერთო არა მქონდა. და ეხლაც საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ არც წინეთ ვყოფილვარ და არც ეხლა მე ბოლშევიკი არა ვარ,

ლევან ქიტიაშვილი.

1920 წ. 19 ნოემბერი.
ქ. თფილისი.

მივიღოთ ზომები!

ყველგან მოიპოვება ერთნაირი ჯგუფი, ერთი ჯურის ხალხი, რომლისათვისაც არ არსებობს არავითარი წმიდათაწმიდა და რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ პირად საქმეებზე და სარგებლობაზე ფიქრობენ. მათთვის არ არსებობს არც საზოგადოებრივი და არც სახელმწიფოებრივი ინტერესები. ასეთები, რასაკვირველია, ჩვენშიაც საკმაოთ მოიპოვებიან. როცა ერი განსაცდელშია, ანდა სახელმწიფოს რაიმე საფრთხე მოელის, ისინი დახმარების მაგიერ ხელს გიშლიან, ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ, რომ მდგომარეობიდან გამოსავალი გზა დაგიხშონ, წინ გადაგელობონ და ხალხის მორალი შეარყიონ და ამნაირათ მთელი რესპუბლიკა დასცენ.

არიან ისეთებიც, ეგენი-უფრო საშიშნი არიან,—რომელნიც ხალხის ცუდ მდგომარეობაზე აგებენ თავიანთ კეთილდღეობას და სიმდიდრეს, ყელზე უჭერენ მას [illegible] და ჯიბეს უცლიან! ამ კატეგორიის ეკუთვნიან ვაჭრები, ჩარჩები და ყოველგვარი სპეკულიანტები. აი, ეხლაც, პრესაში დალაპარაკი ოსმალოს საფრთხეზე, თუ არა, [illegible] ბნელი ძალები და „მუშაობა" გააძლიერეს. ჰყრისს მოწოდებას „დავიცვათ რესპუბლიკა" ისინი ასეთ ძვირ ცხოვრებას კიდევ უფრო გაძვირებით უპასუხებენ! პურის ფასი ხომ მოულოდნელად ვინ იცის სად შეჩერდება. აი. ეხლა ყარსის აღების ამბის შემდეგ 3 [illegible] 285 მ. მაგიერ დღეს 600 მანეთად ყიდიან!

თავგასულობა ამაზე უფრო შორს ვეღარ წავა! და მთავრობამ უნდა [illegible]

რა ზომებს უნდა მიმართოს მან ამ ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად. აქ სისუსტის გამოჩენა დიდი დანაშაულობა იქნება.

არის კიდევ მეორე საკითხი. მე ვლაპარაკობ უცხოელებზე. დღეს ყოველგვარ არაჩვეულებრივი მდგომარეობა არსებობს. ამისთვის ყველგან არაჩვეულებრივ ზომებს ხმარობენ უცხოელების მიმართ. ჩვენი რესპუბლიკაც დღეს დღეობით არაჩვეულებრივ პირობებში იმყოფება და ამიტომ ჩვენც ამ საკითხში არაჩვეულებრივ ზომებს უნდა მოვმართოთ.

საქართველოში მიდიან და მოდიან უცხოელნი ყოველი მხრიდან. საჭიროა ვიცოდეთ ვინ მოდის, რისთვის მოდის. ის უცხო ელემენტები, რომელნიც შრომობენ, სარგებლობა მოაქვთ თავისთვის და ხალხისთვისაც, რასაკვირველია სასურველნი და პატივსაცემის ღირსნიც არიან. მაგრამ ყველა საეჭვო პირები, უსაქმონი და მავნენი აქ ვერ უნდა პოულობდენ თავშესაფარსა და სტუმართმოყვარეობას.

ამისთვის ჩვენი საკონსულოები და წარმომადგენლობა საზღვარგარეთ არ უნდა აძლევდენ პასპორტის ვიზას ყველას და განურჩევლად. როცა კი უცხოელი უკვე რესპუბლიკის საზღვრებზე გადმოდის, ვალდებული უნდა იყოს გამოცხადდეს 24 საათის განმავლობაში შესაფერ დაწესებულებაში. (კომისარიატში) და იქ განაცხადოს, თუ რისათვის გვესტუმრა, რამდენი ხნით და სად აპირებს ცხოვრებას. თუ მის დარჩენის საწინააღმდეგო არა არის რა, მან უნდა დასტოვოს თავისი პასპორტი, რის ნაცვლად მას მიეცემა პირადობის მოწმობა და რეგისტრაციაში ცხოვრების ნებართვა. *) ამ გზით შევიძლია ჩვენ შევამციროთ მაინც და უსაქმო პირთა რიცხვი. უმჯობესია წინდაწინ ასეთი ზომები მივიღოთ, ვინემ ყოველგვარ ხალხს კარები გავუღოთ და როცა რომელიმე მათგანი ბოროტმოქმედებას ჩაიდენს, ვაპატიმროთ და ვაძევოთ.

საჭიროა კი ამ გარემოებას დაუყოვნებლივ მიექცეს სათანადო ყურადღება. ამნაირათ საკითხის მოგვარება მადასაც წაუხდენს ბევრ არასასურველ და მუქთახორა სტუმრებს და მათი რიცხვიც საგრძნობლად შემცირდება და შემცირდება, რა თქმა უნდა, ბოროტმოქმედებაც.

ჩამოსული.

პროფესიონალურ კავშირებში

პრემიალური სისტემა.

20 ნოემბერს შესდგა პროფ. კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტისა და პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის შეერთებული სხდომა, სადაც მუშათა კანონმდებელ კომისიამ წარმოუდგინა სხდომას პრემიალური სისტემის პროექტი ზოგიერთი შესწორებებით. სხდომამ შესწორებები მიიღო. ამის შემდეგ შესწორებულ იქნა შესწორება შრომის ბირჟის ინსტრუქციაში, ის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ სამუშაოზე გაგზავნის დროს უპირატესობა მიეცემა პროფ. კავშირის წევრებს, შესწორებულ იქნა ასე: კავშირის წევრებს უპირატესობა ეძლევა სამუშაოზე გაგზავნის დროს, მხოლოდ თანასწორ პირობებში, არა წევრებს სამუშაოზე გაგზავნის შემდეგ კავშირში ჩასაწერად ეძლევათ ორი კვირა.

ცენტრალური შრომის ბირჟის ორგანიზაცია.

ზარეცკაია აცნობს კრებას, რომ განზრახულია შრომის სამინისტროსთან მოეწყოს ცენტრალური შრომის ბირჟა, რომელიც შემოკრებს რესპუბლიკის ყველა ბირჟებს. ზარეცკაიას აზრით უფრო სასურველი იყო ასეთი ორგანო შეედგინათ თვით შრომის ბირჟებს და მას ხელმძღვანელობას გაუწევდა ერთი მხრივ მუშათა წარმომადგენელნი და სახელმწიფოსა და მუნიციპალური დაწესებულებების მეორე მხრივ. მაგრამ რადგანაც ეს აპარატი ჩქარა უნდა მოეწყოს, ამიტომ მომხსენებელს დასაშვებათ მიაჩნია ასეთი ორგანოს შრომის სამინისტროსთან დროებით დაარსება.

შრომის სამინისტროს წარმომადგენელი დობრონიცკი მიუთითებს, რომ შრომის სამინისტროს უფრო ადვილათ შეუძლია ასეთი ორგანოს შექმნა და ამიტომ ის სამინისტროსთან უნდა შეიქმნეს. სხდომამ დაადგინა: სასურველით იქნას ცნობილი ცენტრალური შრომის ბირჟის შრომის სამინისტროსთან დროებით დაარსება.

შეერთებულმა სხდომამ მიანდო კანონმდებლობითი კომისიის მოლაპარაკება გამართოს შრომის სამინისტროსთან პრემიალური სისტემისა და შრომის ბირჟის შესახებ და ცადონ მოაგვარონ ეს საკითხები.

პურის გამოცხობის გარშემო.

ქალაქის ფურნის იმ მუშებმა, რომელთაც ბრალდებოდათ ცუდი პურის გამოცხობა მიმართეს სეკრეტარიატს განცხადებით, რომ განეხილათ მათი საქმე. მათ განაცხადეს, რომ იმ კომ. სიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა პურის გაუარესების გამორკვევა და რომელმაც დაიჭირა ფურნეები, ვერ სცნო დამნაშავეთ პურის გამომცხობნი. ცნობილ იქნა თვით ფქვილის უვარგისობა. ეხლა შრომის სამინისტრომ პურის გამოცხობის საქმე გადასცა არტელს. არტელში შედიან ისეთი მუშები, რომელნიც კარგათ ვერ იმუშავებენ ამ საქმეზე; ამიტომ მუშები მოითხოვდნენ: დაინიშნოს სპეციალური კომისია, რომელიც რამდენიმე დღეს იმუშავებს პურის გამოცხობაზე, რომ მუშებს მიეცეთ მაგალითი რამდენი ხნის განმავლობაში როგორ შეიძლება მუშაობა. ამას და მიხედვით იმუშავებენ მუშები. არტელი მოხსნილ იქნას და დაუბრუნდეს სამუშაოს ის რამდენიმე მუშა, რომელიც გადაყვანილ იქნენ სხვაგან.

შრომის სამინისტრო განმარტავს, რომ მუშებს დიდი მიზეზი აქვთ პურის გაუარესების საქმეში. არტელს გადაეცა პურის გამოცხობა იმიტომ, რომ პურის ხარისხის გაფუჭებაზე ისინი პასუხსაგებელნი არიან.

დადგენილ იქნა ამ კითხვის გამორკვევა მიენდოს სპეციალურ კომისიას. კომისიაში შედიან: ხარტიშვილი, იობაშვილი და ბეგუანოვი.

მბეჭდავთა კავშირში

21 ნოემბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში შესდგა მბეჭდავთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 525 წევრი. განსახილველი იყო: 1) გამგეობის არჩევა, 2) სარევიზიო კომისიის არჩევა, 3) საბჭოს წარმომადგენლის არჩევა, 4) შრომის ბირჟის შესახებ, 5) მიმდინარე კითხვები. კრების პრეზიდიუმის წევრებათ არჩეულ იქნენ 14 ნოემბრის საზოგადო კრების პრეზიდიუმის წევრები. კრების თავმჯდომარე ამხ. ელბაქიძე აცნობს კრებას იმ პროტესტების შინაარს, რომელიც 14 ნოემბრის საზოგადო კრების პრეზიდიუმს მიუღია 14 ნოემბრის არჩევნების გამო. პროტესტებში მონაწილეთა რიცხვი 163 კაცზე მეტია. 14 ნოემბერს არჩეულ გამგეობის სახელით იმერელი აცხადებს, რომ ხსენებული გამგეობა თანახმაა მოხდეს ახალი არჩევნები იმ პროტესტების გამო, რომელიც გამოიწვია გამგეობის არჩევნებმა. საზოგადო კრება ადგენს მოხდეს ახალი არჩევნები პროპორციონალურ ნიადაგზე. არჩევნების შედეგი უკვე იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 14 ნოემბერს ქალაქის თვითმართველობის შენობაში შესდგა ს.-დ. ქალთა ბიუროსა და რაიონულ კოლექტივების შეერთებული კრება, რომელსაც დაესწრო ამხ. ლ. კაუცკისა. კრება დიდი აღტაცებით და ტაშით შეხვდა კაუცკისას. კრებას ხსნის ამხ. მ. ტოროშელიძისა, რომელიც მოკლე სიტყვით აცნობს სტუმარს დამსწრეთ. ამის შემდეგ ქალთა ორგანიზაციის სახელით ამხ. ლ. კაუცკისას სიტყვით მიმართა ამხ. ოლ. სოლოლაშვილმა, რომელიც ამბობს: ქალთა ორგანიზაციის დავალებით მოგესალმებით ძვირფასო სტუმარო, და მადლობას გიძღვნით იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ჩვენთან თქვენი მოსვლით და სურვილით, გაეცნობოდით ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობას, ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებას, მოქმედება მისწრაფებას; ეს თანაგრძნობა განსაკუთრებით დღეს არის ჩვენთვის ძვირფასი და გამამხნევებელი, რადგანაც დღეს მთელი საქართველო იმყოფება მძიმე მდგომარეობაში. ჩვენი დემოკრატია მთელი თავისი ენერგიით და ძალ-ღონით იბრძვის თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავათ; იგი, როგორც ერთი კაცი, გაფოლადებული და გასალკლდევებული იბრძვის შინ და გარეთ. ამ ბრძოლაში შეკავშირებულია მთელი ჩვენი ძალები განურჩევლათ სქესისა, ჩვენი ქალი ხელი-ხელ ჩაკიდებული მამაკაცთან ერთად იცავს მოპოვებულ თავისუფლებას. ორატორი აღნიშნავს, რომ საქართველოში ქალთა მოძრაობა თავიდანვე წარმოიშვა საზოგადო მოძრაობასთან ერთად და არ ჰქონია განცალკევებული ვიწრო-ფემინისტური მოძრაობის ხასიათი. ჩვენში იყო რწმენა იმისა, რომ ქალთა საკითხი არის ნაწილი საერთოდ სოციალური საკითხისა და მჭიდროთ არის დაკავშირებული მუშათა საკითხთან.

რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ მოგვეცა საშუალება უფრო ფართო ორგანიზაციული მუშაობისა, ტეხნიკური და პრაქტიკული მოსაზრებით დაარსებულ იქნა ცალკე სოც. დემ. ქალთა ორგანიზაციები, რომლის მთავარ ფუნქციებს შეადგენს: მშრომელ ქალთა შეკავშირება, პროპაგანდა-აგიტაცია მათ შორის თვითცნობიერების შესატანად, კულტურული მუშაობა და ფართო ინიციატივა ყველა იმ კითხვებში, რომელიც შეეხება განსაკუთრებით ქალებს, რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხს,— ქალთა ორგანიზაცია მოქმედობს საერთო პარტიული დირექტივების თანახმად.

ჩვენს ქალს მოპოვებული აქვს ყველა ის უფლება, რომლითაც სარგებლობს ჩვენში მამა-კაცი და რომლისთვისაც დღესაც იბრძვის ბევრი სხვა მოწინავე სახელმწიფოს ქალი, მაგრამ ჩვენ გვრწამს, რომ მშრომელი ქალის სრული განთავისუფლება მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი მუშათა კლასი განახორციელებს თავის საბოლოო მიზანს, გვრწამს, რომ ეს მოხდება მხოლოდ მთელი ქვეყნის დემოკრატიის სოლიდარული მუშაობით; ამიტომ ჩვენ ევროპის მუშათა კლასთან ერთად შეუდრეკლად განვაგრძობთ ბრძოლას სოციალიზმის დასამყარებლად.

მისალმებას ქართულიდან ფრანგულად სთარგმნის ამხ. მ. ტოროშელიძისა, საპასუხო მისალმებას ამხ. ლუიზა კაუცკისა იწყებს შემდეგი სიტყვებით:

ძვირფასო ამხანაგებო! გმადლობთ იმ მხურვალე, ამხანაგური შეხვედრისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩემდამი. ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია ქართულად გადაგიხადოთ მადლობა, მოგესალმოთ თქვენს ენაზე, რომელიც მე შევიყვარე თქვენ მშვენიერ სამშობლოში ყოფნის დროს. ენის უკოდინარობა მიშლიდა ხელს გავცნობოდი ქართველ ამხანაგ ქალებს და უფრო დაწვრილებით შემესწავლა თქვენი მოძრაობის ისტორია. მიუხედავად ამისა, მე მაინც მოვედი დღეს თქვენთან, გიძღვნით სალამს გერმანელ ამხანაგ ქალებისაგან, რომელთაც მე წავუღებ და გადავცემ თქვენს სალამს.

მე არ ვიცნობდი იმ პირობებს, რომლებშიაც თქვენ გიხდებოდათ მუშაობა. თქვენთან მოსვლამდე მე ვფიქრობდი, რომ თქვენ ისეთივე საფეხურები გაიარეთ, როგორც თქვენმა დებმა გერმანიაში, სანამ მიაღწევდენ დღევანდელ მდგომარეობას.

იმ ხანებში, როცა ჩვენმა ფხიზელმა ამხანაგმა — ავგუსტ ბებელმა, რომელიც ყველაზე უფრო გულშემატკივარი და მომხრე — მეგობარი იყო ქალებისა, დაწერა თავისი შესანიშნავი წიგნი „დედაკაცი და სოციალიზმი",— გერმანიაში მაშინ არც ერთი პროლეტარული ქალთა ორგანიზაცია არ არსებობდა. ბურჟუაზია თავისი სიბეცისა და ეგოიზმის გამო წინააღმდეგი იყო ქალთა ემანსიპაციის; და არა მარტო ბურჟუაზია,— ზოგიერთი ჩვენი ამხანაგებიც იზიარებდენ ამ აზრს და მე უნდა გამოვტყდე, რომ დღესაც გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიაში მოიპოვებიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც წინააღმდეგნი არიან ამისა, თუმცა ხმამაღლა, საჯაროთ ამის გამოცხადების სცხვენიათ. გერმანიაში სოც.-დემოკრატ ქალებმა ნელ-ნელა მოიპოვეს სარბიელი პარტიაში. მათ შექმნეს ორგანო „Die gleicheit", რომელსაც ომის დაწყებამდე ასი-ათასი ხელის მომწერი ჰყავდა. ამხ. მამა კაცები შეეჩვიენ ქალთა თანამშრომლობას, ადგილობრივ და ცენტრალური ორგანიზაციებში, საიდანაც ადრე ქალები განდევნილნი იყვნენ. უფრო მოწინავე ქალებმა დაანებეს თავი სპეციალურად ქალთა კითხვის დაყენებას, თავი იგრძნეს საერთო პარტიის თანასწორ წევრად და მამაკაცებთან ერთად ეწევიან საერთო მუშაობას. ამის საუკეთესო მაგალითი მოგვცა როზა ლუქსენბურგმა. საყოველთაო არჩევნების უფლებისთვის ბრძოლამ უფრო შეაკავშირა დედაკაცები და მამა-კაცები. 1918 წ. რევოლიუციამ მისცა უხვი ნაყოფი ქალებს; ყოველი პარტია ირჩევდა კანონმდებლობით დაწესებულებაში ქალებს, ყველაზე მეტი რიცხვი კი ს.-დემ. პარტიამ ამოირჩია. ამნაირად ქალები გერმანიაში საგრძნობ ძალას წარმოადგენდენ, რომ ისინი არ დაყოფილიყვნენ პარტიის დაყოფასთან ერთად. იმის მაგიერ, რომ შეკავშირებულიყვენ და საერთო ძალით შებრძოლებოდნენ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას,— ისინი ჩაებნენ პარტიულ შინაურ ბრძოლაში და კაცებზე უფრო გამანადგურებელ ბრძოლას აწარმოებდენ.

ამნაირად რევოლიუციის მონაპოვარი გერმანელ პროლეტარიატისთვის სულ უმნიშვნელო გამოდგა.

საბედნიეროდ თქვენთან სულ სხვასა ვხედავ: თქვენ ერთი ძლიერი პარტია გაქვთ და მე დიდათ ვაფასებ ამ ერთობას. ერთობას თქვენ სათუთად უნდა მოეკიდოთ, გაუფრთხილდეთ, ისე, როგორც საუკეთესო საუნჯეს; ნუ შეჩერდებით იმათ წინაშე, ვინც მოინდომებს ამ მთლიანობის დარღვევას, გაიხსენეთ, თუ რა ბრძოლაა სოციალისტურ წრეებში. ეს ბრძოლა და უთანხმოება ასუსტებს ჩვენს ძალას, გვაშორებს ჩვენს მიზნებს. ამ განხეთქილებისაგან თავი დაიხსნა მხოლოდ თქვენმა და ავსტრიის სოც.-დემოკრატებმა, რომელიც სამაგალითოა ყველა ქვეყნებისთვის.

საქართველოსკენ არის მოპყრობილი მთელი სოციალისტების ყურადღება. ისინი უჩვენებენ თქვენ მაგალითზე, თუ რას ნიშნავს მთლიანი პარტია და რა შედეგებს მიაღწიეთ თქვენ. მთლიანობაშია ძალა და თქვენ უძლეველი იქნებით.

გაუმარჯოს სოციალიზმს! გაუმარჯოს ინტერნაციონალიზმს! გაუმარჯოს ს. ს.-დ. პარტიას!

სიტყვების დასრულების შემდეგ ამხ. ლ. კაუცკისა აცხადებს, რომ მას არ შეუძლია კრების დასრულებამდე დარჩეს მისი მეუღლის ავადმყოფობისა გამო. ამავე მიზეზით კარლ კაუცკი ვერ დაესწრო კრებას. იგი იმედს გამოთქვამს, რომ შემდეგი კრებისათვის ექნებათ სიამოვნება ორივე დაესწრონ კრებას.

დასასრულ ამხ. ე. სიხარულიძე მოხსენებას აკეთებს გვარდიის მთავარ შტაბის დავალებით, რომელიც მოითხოვს ქალთა ორგანიზაციებისაგან დახმარებას ფრონტის საჭიროებისთვის, რაც გამოიხატება პირველ რიგში საქსოვი სახელოსნოს მოწყობაში. კრება ერთხმად ადგენს, შესრულოს ყოველგვარი საქმე, რაც კი ფრონტისთვის იქნება საჭირო. დადგენილი იქნა დაუყოვნებლივ მოეწყოს სახელოსნო, რომლისთვისაც აირჩიეს ცენტრალური კომისია; ამ კომისიამ უნდა მოაწყოს რაიონული კომისიები.

ცენტრალური კომ. წევრებათ აირჩიეს: ლუკაშევიჩი, კუხალაძე, დარახველიძე, კირტაძე, მახვილაძე, ნიკოლოზოვისა, სოლოლაშვილი და პავლიაშვილი. კრების გათავების შემდეგ შესდგა კომისიის სხდომა.

ცაცა.

მუშათა შორის

მეტყავეთა კავშირში. 20 ნოემბერს მ. გრიმანის სახელოსნოში შესდგა ამავე სახელოსნოს მუშების საერთო კრება, განსახილველია: 1) წარმომადგენლების არჩევნები მეტყავეთა კავშირის დელეგატთა საბჭოში და ადგილობრივი კომიტეტის განახლება. 2) სურსათის საკითხი, 3) ხელფასი, 4) სხვა, მიმდინარე კითხვები. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს კავშირის წარმომადგენელი, აღნიშნავს რა დელეგატთა ყრილობის მოწვევის საჭიროებას, აცნობს კრებას იმ მიზეზებს, რომელმაც აიძულა კავშირი დელეგატთა ყრილობის მოწვევა გადაედო 28 ნოემბრისათვის და მოუწოდებს დღესვე მოახდინონ არჩევნები დელეგატების. რამოდენიმე ამხანაგების სიტყვის შემდეგ დელეგატთა საბჭოში კრება ირჩევს ორ წარმომადგენელს, ამხ. მურადიანცს და სარქისოვს. მეორე საკითხზე ამხ. მურადიანი ამბობს: ჩვენს სახელოსნოში არიან ისეთი მუშები, რომელნიც ჯერ ვერ სარგებლობენ სურსათსანოვაგით მუშათა მაგიდიდან, რაც უფრო ამწვავებს იმ გაჭირვებას, რომელშიაც ჩვენ ყველანი ვიმყოფებით, ამიტომ უნდა ვაიძულოთ მწარმოებელი, რომ მუშათა მაგიდაში შეიტანოს მან საჭირო გადასახადი თვითოეულ მათგანზე, რითაც მიეცემათ საშუალება ამხანაგებს იაფფასიანი სურსათით დაკმაყოფილებისა. მეტყავეთა კავშირის წარმომადგენელი ამის შესახებ აღუთქვამს კრებას დახმარებას და მოკლე ხანში მოგვარებას. მესამე საკითხზე იგივე მურადიანი აცნობს კრებას ფეხსაცმელების შეკერვის ფასის შეუსაბამობას. ამხ. სიტყვებიდან ირკვევა, რომ ამ სახელოსნოს მეჩექმე მუშები სატარიფო პალატის მიერ დაწესებულ ხელფასზე ნაკლებს იღებენ, რაზედაც კავშირის წარმომადგენელი აღუთქვამს დახმარებას. მეოთხე საკითხის შესახებ ამხანაგები მოითხოვენ მწარმოებლისაგან სესხს შეშის შესაძენად ზამთრისთვის, ეს საკითხი კავშირის წარმომადგენლის წინადადებით გადაიდო დელეგატთა ყრილობისათვის.

ვანიკო.

პროვინცია

სამურზაყანოს მაზრა ითვლებოდა იმ კუთხედ, სადაც ღალღალი სიმინდი მოდის, რომელიც აკმაყოფილებს არა თუ თავის მცხოვრებთ, არამედ — ბევრს სხვა მაზრის მცხოვრებთაც. გასული წლის მოსავალი იმდენი დიდი იყო მაზრაში, რომ დიდძალი სიმინდი იქმნა გატანილი გვარდიის, ჯარისა და ერობა ქალაქებისთვის სხვა მაზრებში. მართალია ბოლო ხანებში შიმშილმა აქაც იჩინა თავი და საზოგადოებათა უმრავლესობა შიმშილს განიცდიდა, მაგრამ ის მაინც ძლეულ იქნა და 1920 წლის მოსავალს მოვაღწიეთ. როგორია წლევანდელი მოსავალი? სამურზაყანოს მაზრის ერობის სტატისტიკური განყოფილების გამოკვლევით მაზრაში წელს მოსავალი საშუალოზე ნაკლებია. სულ მოვიდა 916,000 ფუთი სიმინდი. მცხოვრებთა რიცხვი აღწევს ორივე სქესის 43 965— სულს. გამოდის, რომ თითო სულზე წელს მოსავალი მოდის 20—25 ფუთი.

ერთი სიტყვით მაზრას მოსავალი ყოფნის, თუ კი სიმინდი გატანილი არ იქნა სხვაგან. ერობის გამგეობამ ამას დროზე უნდა მოაქციონ ჯეროვანი ყურადღება, რათა შარშანდელი გაჭირვება ისევ თავს არ დაგვატყდეს.

მართალია, მეტი მოსავალს მოველოდით, მოველოდით ზედმეტს, მაგრამ უდროვო წვიმებმა, ავდარმა ისე გააფუჭა ნახევრად მწიფე სიმინდი, რომ ძალზე გაფუჭდა და ძლივს საყოფი დარჩა.

ლობიოს მოსავალი გვარიანი იყო. სულ მაზრაში 66,400 ფ. ლობიოს შემოსავალი ნავარაუდევი. ყველაზე მეტი მოსავალი გუდავას საზოგადოებაში მოვიდა. ყველაზე ნაკლები დ. აჩიგვარაში. ღვინის მოსავალი საშუალოზე უკეთესი იყო. სულ 95,180 ფ, თხილის შარშანდელზე უკეთესი იყო. სულ 99,275 ფ., ნიგოზის მოსავალი არ იყო ცუდი, სულ 35,180 ფ., რაც შეეხება ხახვს, ის მეტი არ მოსულა სულ 3,649 ფ. ასე რომ, მაზრაში წლევანდელი მოსავალი საზოგადოებას ყოფნის.

ბ. უჩანეიშვილი

თეატრი და ხელოვნება

სიმფონიური საღამო ცენტრალურ აუდიტორიაში.

რესტორან-კლუბების დახურვის შემდეგ უსაქმოთ დარჩა 60-ზე მეტი მუსიკოსი. ულუკმა-პუროთ დარჩენილი მუსიკოსები შეკავშირდნენ და განზრახვა აქვთ მუშათა რაიონებში სიმფონიური საღამოები მართონ და ამით საარსებო წყარო გაიჩინონ. ეს აზრი ფრიად სიმპატიურია და ყველა ხელოვნების მოყვარულმა ხელი უნდა შეუწყოს მათ განზრახვას. დემოკრატიის ფართო წრეები დღევანდლამდე მოკლებული იყვნენ დატკბარიყვენ ცნობილ მუსიკოსთა შემოქმედებით. სახელმწიფო თეატრი მართალია ყოველ შაბათობით სდგამს ოპერებს მუშებისათვის, მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ არის. განაპირა რაიონების მცხოვრებლები ყოველთვის ვერ იშოვნიან დროს ცენტრში გამართულ ოპერებს მოუსმინონ და როდესაც ასეთი საღამოები მის რაიონშივე გაიმართება, ეს გაუადვილებს მათ დასწრებას. 21 ნოემბერს მუშათა ცენტრალურ აუდიტორიაში გაიმართა პირველი ასეთი სიმფონიური საღამო ვ. ილჩენკოს დირიჟორობით. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველ გამართულ საღამოს ხალხი ძლიერ ნაკლებათ დაესწრო, მაგრამ ამან მაინც გული არ გაუტეხა საღამოს მონაწილეთ და დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეს. ჩვენ ამ საღამოს პირველათ მოვისმინეთ ვ. ილჩენკოს დირიჟორობით შესრულებული ჩაიკოვსკის, გლინკას, იპოლიტოვ-ივანოვის და სხვა ცნობილ კომპოზიტორთა ნაწარმოები და უნდა აღვნიშნოთ, რომ ილჩენკოს სახით ჩვენ საქმე გვაქვს მეტად სერიოზულ, ძლიერის ტემპერამენტით დაჯილდოვებულ ლოტბართან. ილჩენკოს შესწევს უნარი თავის ნებას დაუმორჩილოს ორკესტრი და შემოქმედებითულათ ამოქმედოს იგი. რასაკვირველია, შესრულებას ნაკლიც სდევდა, მაგრამ თუ დემოკრატიის ფართო წრეები ამ სიმპატიურ საქმეს მხარს დაუჭერენ და მუსიკოსთ თავიანთ დახმარებით გაამხნევებენ, ჩვენ ახლო მომავალში შეძლება გვექნება კარგათ გაწვრთნილი სიმფონიურ ორკესტრს მოუსმინოთ. საჭიროა ყველა კავშირებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში, აღმოუჩინონ მატერიალური დახმარება უსაქმოთ დარჩენილ მუსიკოსებს მათ მიერ გამართულ საღამოებზე დასწრებით.

X.

წერილი რედ. მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ „ერთობის" უახლოეს ნომერში ამ წერილის მოთავსებით მოგვცეთ საშუალება ფრონტზედ მყოფ 3 თფილისის ათასეულის 4 გუნდის ნავთლუღ-კახეთის უბნის გვარდიელებს, გადაუხადოთ ჩვენი გულწრფელი მადლობა კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთ, პროფესიონალურ კავშირის და სასურსათო კომიტეტის გამგეობების სახით, 280 კოლოფ პაპიროსის საჩუქრათ გამოგზავნისათვის, რამაც გვარდიელებში გამოიწვია დიდი აღფრთოვანება და ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მათ, რომ ზურგში დარჩენილი ამხანაგები არ ივიწყებენ ფრონტზე მყოფთ.

ამხანაგების მინდობილობით თ. ფანცულაია.

მოქ. რედაქტორო! თქვენი პატივცემულ გაზეთის კვირის № 266 მოთავსებულია ღია წერილი კბილის ექიმის ალექსანდრე სოლოლაშვილისა, სადაც იგი აღნიშნავს, რომ თითქოს მე, როგორც მეუღლე ქართული დრამის დირექტორისა „ნათლიმამობით" მივეწვიეთ ქართული დრამის თეატრის კბილის ექიმად.

ამით იძულებული ვარ განვაცხადო, რომ ბ-ნ სოლოლაშვილის ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება და მიუხედავად იმისა, რომ მეც დიდი ხანია მქვს ნათხოვნი ზემოხსენებული ადგილი, ქართული დრამის დირექციისაგან პასუხი დღემდის არ მიმიღია, მხოლოდ ქართველ მსახიობთა ერთი ჯგუფის თხოვნით მე დავთანხმდი ქართული დრამის მსახიობთ ვუწამლო უფასოდ, ხოლო ხელოვნური კბილები და პლომბები გავუკეთო მასალის 50% დაკლებით, რისთვისაც არავითარი ჯილდო ქართული დრამის დირექციისაგან არც მიმიღია და არც ვღებულობ.

კბილის ექიმი ტ. ფილგახი.
თფილისი. 1920 წ. 22 ნოემბერი.

რედაქტორი ლევან მათაძე

---

*) რასაკვირველია ამ დოკუმენტისთვის უცხოელმა განსაზღვრული სასყიდელი უნდა გაიღოს.

განცხადებანი

ქ. ზ. ფართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სერაფიმის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ. (23—დეკ.)

ექიმი
რეზო მახაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სისტემით) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დილ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12 დეკ.

ექიმი
ა. ს. მადაჭკორია
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილ 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35. (18—დეკ.)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმი **მ. ა. შაურანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4 [illegible] კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართ: [illegible] ქ. № 33. (21 დეკ.)

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლევების და სხ. ავადმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. [illegible] ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკუმოვი
გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 28. ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავადმყ. „606" და „914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—8 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ბოკერიასი
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირადღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ენდოსკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—11 ნახ. ს. საღ. 5—7 საათამდე. 13 დეკ.)

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი. ვაქცინოთერაპია, სეროთერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვის და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავადმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავად. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1 დეკ.)